

600 / 2
1960

ქვემოთა
გრაფიკული

გეგმვა
და ტექნიკა

№ 5 მაისი 1960



სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევითა გამოუშვა, „რადიოელექტრონიკის“ პავი-
ლიონის ხედი

ფოტო ვ. ტარხოვისა

მეცნიერება და ტექნიკა

ყოველთვიური მეცნიერულ-პოპულარული
ჟურნალი

№ 5 მაისი 1960

გამომცემის
XII
წელი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანო

რადიოელექტრონიკის როლი სამეაროს შესწავლის საქმეში

დ. სხილაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე

უმთავარო ღამეს ვარსკვლავთა მირიადებით მოჰყვით ცაზე დაკვირვებისას გეანციფრებს სამყარო თავისი გრანდიოზულობით და ჩვენდა უნებურად გვებადება უამრავი კითხვა: რა ხდება შორეულ ვარსკვლავებზე? რა ტიტანური ძალები აწარმოებს ციური სხეულების კანონზომიერ მოძრაობას? არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე? რა საიდუმლოებებს მოიცავს შორეული იდუმალი კოსმოსი? და ა. შ. ამგვარი ფიქრები მრავალ საუკუნეთა მანძილზე აღელვებდა კაცობრიობას.

ადამიანი სწავლობდა ციურ ოკეანეს, შეუიარაღებელი თვალით აკვირდებოდა მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს, რასაც მოჰყავდა ერთ-ერთი უძველესი მეცნიერება — ასტრონომიის წარმოშობა.

ასურთში, ეგვიპტესა და ჩინეთში მრავალი საუკუნის წინ უკვე იცნობდნენ ზოგიერთი კოსმოსური მოვლენის კანონზომიერებებს, ჰქონდათ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასტრონომიული ცნობებიც.

XVII ს-ის დასაწყისში გალილიმ დაამზადა ტელესკოპი, რამაც შესაძლებლობა შექმნა გაცილებით უფრო კარგად შესწავლილიყო კოსმოსური სხეულები.

XVIII ს-ში დამზადებული უფრო დიდი გრანდიოზულობის მქონე ასარეკლი ტელესკოპით დაკვირვებები წარმოგვბოძა უფრო შორეული, ციური სხეულებზე.

მაგრამ სამყაროს სიღრმეთა მკვლევარის მიძიებელი გონება ეძებდა ახალ-ახალ გზებსა და საშუალებებს კოსმოსის შესასწავლად. მას სურდა გაეგო ციური სხეულების სტრუქტურა, მათი შემადგენლობა და ფიზიკური პირობები, არის თუ არა სიცოცხლე ციურ სხეულებზე და როგორია მისი ფორმები. ოპტიკისა და ფოტოგრაფიის შემდგომი განვითარების საფუძველზე ადრეულ იქნა თანამედროვე სრულყოფილი ასტრონომიური მიწოდებისა, მაგრამ უფრო ზუსტი კვლევებისათვის საჭირო იყო კიდევ უფრო სრულყოფილი და გრანდიოზულობისა.

ერა ხელსაწყოები, რომლებიც საშუალებას მისცემდა მკვლევარს დაკვირვებები მოეხდინა ციურ სხეულებზე მთელი დღე-ღამის განმავლობაში ხილვადობის პირობების მიუხედავად. აი სწორედ აქ რადიოელექტრონიკა ასტრონომიის დაუფასებელი დახმარება გაუწია.

სხვადასხვა ფოტოელექტრონული ხელსაწყოები, ტელევიზორი ელექტრონ-სხივური მილაკები, მიმღები, გადამცემი და გამძლიებელი რადიოაპარატურა, რადიოთელევიზორი ტექნიკა, გამოსათვლელი ელექტრონული მანქანები და საპროგრამო მოწყობილობანი, სპეციალური ანტენები, რადიოტელეგრაფიული და რადიოტელეგრაფიული სისტემები, ნახევარგამტარიანი ელექტრონული და სხვა ხელსაწყოები აქტიურად მონაწილეობენ კოსმოსის შესწავლასა და კვლევით მუშაობაში.

„რადიოტექნიკის თანამედროვე მიღწევები რომ არ ყოფილიყო, თანამგზავრიც არ იქნებოდა“, — წერდა გაზეთ „პრავდაში“ აკადემიკოსი ა. თოფჩიევი.

კოსმოსური სივრცისა და ციური სხეულების შესწავლასა და გამოკვლევას ასტრონომიის მეტად დიდი დახმარება გაუწია ფოტოელექტრონიკამ, რომლის ძირითადი ხელსაწყოებია ფოტოელემენტები. ისინი სინათლის ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნელობა.

ე. წ. გარე ფოტოელემენტის მოვლენის საფუძველზე აგებულმა ელექტრონ-ოპტიკურმა გარდამქმნელებმა გამოყენება პოვა ასტრონომიულ მოწყობილობებში. ფოტოელექტრონულ გარდამქმნელს აქვს ნახევრად გამჭვირვალე ფოტოკათოდი, ელექტრონთა ნაკადის მაფოკუსირებელი სისტემა და მაფლუორესცირებელი ეკრანი. ყველა ეს ნაწილი მოთავსებულია მინის ვაკუუმიან მილაკში.

როდესაც ამა თუ იმ სხეულის სინათლის ნაკადი გაანათებს გარდამქმნელის ფოტოკათოდს, იგი გამოასხივებს თავისუფალ ელექტრონებს. რაც უფრო მეტად იქნება გაშუქებული ფოტოკათოდის ესა თუ ის უბანი, მით უფრო ძლიერ ელექტრონთა გა-



მოსხივებას (ემისიას) მივიღებთ მისგან და, პირიქით. ეკრანის ელექტრონთა სწრაფმოძრავე ნაკადით დაყუბმარების შედეგად მასზე განიდება იგივე გამოსახულება, რომელიც პროექტირებულია ფოტოკათოდზე მხოლოდ უფრო ძლიერა სიკაშკაშით. ამრიგად, ფოტოელექტრონული გარდამქმნელი წარმოადგენს სინათლის გამამოღებელს. იგი ხელს უწყობს ციურ სხეულებზე ვიზუალურ დაკვირვებებს და მათ ფოტოგრაფირებას.

ეკრანზე გამოსახულების სიკაშკაშის უფრო მეტა გაძლიერებისათვის იყენებენ ორ ან მეტსაფეხურიან ფოტოელექტრონულ გარდამქმნელებს.

მაღალი გრძნობიერების ფოტომამრავლებებისა და სპეციალური სქემების დამუშავებამ შორეული ვარსკვლავების სინათლის ნაკადის გაზომვისას შესაძლებელი გახადა ელექტრონული ხელსაწყოებისა და რადიოტექნიკური აპარატურის გამოყენება. ამ აპარატურამ მნიშვნელოვნად გაზარდა ასტრონომიულ დაკვირვებათა სიზუსტე.


ტელესკოპის მიერ მიღებული გამოსახულების სიკაშკაშის უფრო მეტად გაძლიერებისათვის კარგ შედეგს იძლევა ტელევიზიური ტექნიკა. მისი საშუალებით ეკრანზე შეიძლება მივიღოთ უფრო დიდი ზომის გამოსახულება და ვარგულორით გამოსახულების მცაფიობა. ამასთან, შესაძლებელია აგრეთვე ტელევიზიური მოვითავსოთ ტელესკოპისაგან დამოუკიდებლად.

ტელევიზიური სისტემა თავის სქემაში შეიცავს ორ ძირითად ელექტროვარკვლემიან ხელსაწყს: გადამცემ ელექტრონ-სხივურ მილას — იკონოსკოპს რთულ მოზაიკური ფოტოკათოდით და მიმღებ ელექტრონ-სხივურ მილას — კინესკოპს. გადამცემი ელექტრონ-სხივური მილასის საშუალებით გამოსახულების სინათლის ნაკადის ენერგია გარდაიქმნება ელექტრულ ენერ-

გიად. თუ მოზაიკის თითოეული ელემენტარული ფოტო-ელემენტის წრედს რიგრიგობით შევრთავთ ელექტრონ-სხივური მილასის საერთო წრედში, მივიღებთ გამოსახულების ელემენტებად დაშლის შესაბამე ელექტრული იმპულსების რიგს. ეს ხორციელდება ვიწრო ელექტრონული სხივის საშუალებით, რომელიც პერიოდულად მოძრაობს სტრიქონიდან სტრიქონზე გადასვლით მოზაიკის უმცირესი ფოტოკათოდების ზედაპირზე. მოზაიკაზე ამ სხივის გარბენის შედეგად იკონოსკოპის წრედში წარმოაშვება ელექტრული იმპულსები, რომლებიც გაძლიერების შემდეგ რადიოტალღების საშუალებით (ან უშუალოდ) მიეწოდება მიმღები ტელევიზიური მოწყობილობის კინესკოპის მმართველ ელექტროდს. კინესკოპის კოლბის გაფართოებული ნაწილის ფსკერი შიგნიდან დაფარულია ლუმინოფორით, რომელიც იძლევა მეტ ან ნაკლებ ნათებას მასზე ელექტრონთა სხივების დაცემის დროს. თუ კინესკოპის ელექტრონ-სატყირცნის მიერ შექმნილ ელექტრონულ სხივს ვაიძულებთ იმოძრაოს ეკრანზე ზუსტად იმავე წესით, როგორც ეს წარმოებს იკონოსკოპში (სინქრონულად და სინფაზურად), კინესკოპის ეკრანზე მივიღებთ სხვადასხვა სიკაშკაშის მნათი წერტილების ისეთივე წყობას, როგორც არის იკონოსკოპის მოზაიკაზე, ე. ი. დაენახათ იმ გამოსახულებას, რომელიც გადმოიცემა იკონოსკოპის მიერ. ტელევიზიური მოწყობილობა საშუალებას გვაძლევს ბევრად ვაზიდიოთ იმ გამოსახულების სიკაშკაშე, რომელიც მიწოდებულია იკონოსკოპის მოზაიკაზე.


იკონოსკოპზე უფრო სრულყოფილი სუპერ-იკონოსკოპი, ნახევრად გამჭვირვალ ფოტოკათოდითა და მეორეული ელექტრონული ემისიის გამოყენებით იძლევა დაახლოებით 6-ჯერ მეტ გრძნობიერებას. გადამცემი ტელევიზიური ელექტრონ-სხივური მილაკებიდან ყველაზე უფრო გრძნობიერა სუპერორტიკონი, რომლის გამოყენებაც ასტრონომიაში დაიწყო რამდენიმე წლის წინათ. მისი თავისებურება ის, რომ, გარდა ნახევრად გამჭვირვალ ფოტოკათოდისა და გამოსახულების გამოსის სექციისა, სუპერორტიკონი შეიცავს ვიდუოსიგნალის გამამოღებელ მოწყობილობას — მრავალკასკადიანი ელექტრონული მამრავლების სახით; სუპერორტიკონის გრძნობიერება რამდენიმე ასეულჯერ მეტია, ვიდრე კუვლებრივი იკონოსკოპისა. ტელევიზიურ ტექნიკა, ყველად ისეთი გადამცემი ტელევიზიური მილასის შექმნას, რომლის მოზაიკა ხანგრძლივად (რამდენიმე საათის განმავლობაში) დააგროვებს ოპტიკური გამოსახულების ელექტრულ მუხტებს, დიდი მომავალი აქვს სუსტად ნათების ვარსკვლავების ფოტოგრაფირების საქმეში.

კოსმოსური სივრცის დაზვერვისა და შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რადიოტელე-კომიური ტექნიკა. რადიოტელეკომი აუგებულია ულტრა-მოკლე რადიოტალღების არეკვლის მოვლენაზე. რადიო-



ნახ. 1. სუპერორტიკონის სქემა: 1—ნახევრად გამჭვირვალ ფოტოკათოდი; 2—ოპტიკური; 3—სასიგნალო ფოტოკათოდი; 4—მოზაიკური ფოტოკათოდი; 5—სუპერორტიკონის ანოდი; 6—ელექტრონების მამრავლებელი კოპი; 7—ელექტრონთა სატყირცნი; 8—ელექტრონული სხივის გადამარეული სისტემა; 9—ელექტროკეების წყარო; 10—სატვირთი წინაღობა, სუპერორტიკონის გასახელდებლად.


ლოკატორი საშუალებას იძლევა დიდ მანძილზე აღმოვაჩინოთ მეტეორები, რაკეტები, ციური სხეულები და სხვა საგნები, გავიგოთ რა მანძილზე არიან ისინი რადიოლოკატორიდან და განვსაზღვროთ მოცემულ მომენტში მათი კოორდინატები.



ნახ. 2. მიმღები ელექტრონ-სხივური მილაკი: 1—ელექტრონთა სატვირთი; 2—ელექტრონული სხივის გადამხრელი სისტემა; 3—მილაკის მალუმინესცირებული ეკრანი; ეკრანზე გამოსხივებული და არეკლვის შემდეგ მიღებული რადიოიმპულსების შუქური მწვერვალები

რადიოლოკატორი რთული რადიოტექნიკური მოწყობილობაა. ის შეიცავს ულტრაამოკლეტალიან იმპულსურ რადიოგადამცემს, სპეციალური ტიპის მიმართული მოქმედების ანტენას, რომელიც ამტრავი მოწყობილობის საშუალებით შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით ვაბრუნოთ, დიდი გრძნობიერების რადიომიმღებს, სინქრონიზატორს, აზიმუტის და სიშორის ელექტრონ-სხივურ ინდიკატორებს. ანტენის მიერ რადიოიმპულსის გაემოსხივების მომენტს აღნიშნავს სიშორის ინდიკატორი ელექტრონ-სხივური მილაკის ეკრანზე ვიწრო მნათი მწვერვალით. გამოსხივებული რადიოტალღები სივრცეში რაიმე სხეულს რომ შეხვდება, მათი ენერგია ნაწი-

ლობრივ ამ სხეულისაგან აირეკლება. ამ ანარეკლ ტალღებს მიიღებს უკან რადიოლოკატორის ანტენა და მიმღებთან შეერთებული ინდიკატორი აღნიშნავს ანარეკლი რადიოტალღის მიღებას აგრეთვე ვიწრო მნათი მწვერვალის სახით. მანძილი ამ მწვერვალებს შორის პროპორციულია დროის იმ მონაკვეთისა, რომლის განმავლობაში რადიოლოკატორის მიერ გამოსხივებული იმპულსი მიადრწევს მიზანს (სხეულს) და მისგან არეკვლის შემდეგ დაბრუნდება უკან — ე. ი. რადიოლოკატორისა და ამა თუ იმ საგანს შორის ორმაგი მანძილია. აზიმუტის ინდიკატორი ამავე დროს გვიჩვენებს აღმოჩენილ სხეულის კოორდინატებს. ამრიგად, რადიოლოკატორის საშუალებით შესაძლებელია სივრცეში სხეულების არა მარტო აღმოჩენა, არამედ ამ სხეულების რადიოლოკატორამდე მანძილისა და მისი ზუსტი




ნახ. 4. რადიოლოკატორის ინდიკატორის ეკრანზე მიღებული, მთავრისაგან გაჯავანული და მისგან ანარეკლი რადიოსიგნალების იმპულსების გამოსახულება: 1—გაჯავანული სიგნალის იმპულსი; 2—მთავრისაგან ანარეკლი სიგნალის იმპულსი

ადგილმდებარეობის განსაზღვრაც დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მიუხედავად ხილვადობის პირობებისა.

რადიოლოკაციური სერვისი იონოსფეროს გამოკვლევისათვის გამოყენებული იყო საქართველოში ჯერ კიდევ 1936 წლის 19 ივნისს, მზის სრული დაბნელების დროს. თბილისში ჩატარდა მეცნიერულ-კვლევითი დაკვირვებათა იონოსფეროს E და F ფენებზე და მათი სიმაღლის განსაზღვრა. ამ კვლევათა მასალების საფუძველზე განსაზღვრული იყო რადიოტალღათა გაერცელების პირობები.

რადიოლოკაციური მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი მავალითაა მანძილის გაზომვა დედამიწიდან მთვარემდე, რომელიც ჩატარდა 1946 წელს.

რადიოლოკაციური სადგური მთვარისაგან მიმართული ანტენის საშუალებით ხანმოკლე იმპულსების სახით გზავნიდა ულტრაამოკლე ელექტრომაგნიტურ ტალღებს. რადიოიმპულსების გადაცემის და მიღების მომენტები ელექტრონ-მატყური ინდიკატორის ეკრანზე აღნიშნული იყო მნათი მწვერვალებით. მათ შორის დროის შუღლი აღმოჩნდა 2,56 წამი. რადიოტალღების გავრცელების სიჩქარეა დაახლოებით 300.000 კმ/წმ. ამრიგად, რადიოლოკაციური მეთოდით განსაზღვრული მანძილი დედამიწისა და მთვარეს შორის აღმოჩნდა 384.000 კმ, რაც საკმაოდ შეესაბამებოდა ასტრონომიული მეთოდით გაზომილ მანძილს.




ნახ. 3. რადიოლოკატორის სიშორის ინდიკატორის ეკრანზე მიღებული იმპულსები: 1—გამოსხივებული იმპულსის შუქური მწვერვალი; 2—ანარეკლი რადიოტალღის შუქური მწვერვალი



არსებული ცნობების მიხედვით ამერიკელი მეცნიერების მიერ 1959 წელს განხორციელებულ იქნა პლანეტა ვენერას რადიოლოკაცია.

რადიოლოკაციურ მეთოდებს იყენებენ მეტეოროების სიზოარის, სიჩქარისა და მოძრაობის მიმართულების



ნახ. 5. რადიოტელესკოპის ერთ-ერთი საანტენო მოწყობილობა: პარაბოლური რეფლექტორის (სარკის) ფოკუსში განლაგებული მიმღები ანტენები

განსაზღვრისათვის, მიუხედავად ხილვადობისა და დღე-ღამის დროისა.

რადიოლოკაციური ტექნიკა და რადიოპეიჯინგატორები წარმოადგენს იყო გამოყენებული დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებსა და კოსმოსურ რაკეტებზე დაკვირვებათათვის.

უკანასკნელ ათეულ წლებში რადიოელექტრონიკის გამოყენების მეოხებით წარმოიშვა მეცნიერების ახალი დარგი — რადიოასტრონომია, რომელიც ციურ სხეულთა მიერ გამოსხივებულ რადიოტალღებზე დაკვირვების გზით საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად შევისწავლოთ მათი აგებულება, აგრეთვე სხვადასხვა მოვლენები, რომლებსაც აღვლი აქვთ კოსმოსურ სივრცეში.

ციური სხეულების მიერ გამოსხივებულ რადიოტალღებზე დაკვირვებათა გზით რადიოასტრონომიის საშუალება მიეცა სულ ახლებურად შეისწავლა მათი სტრუქტურა, კოსმოსური სხივების წარმოშობა და გა-

მოერკვია იმ ვარსკვლავების ადგილმდებარეობა მელთა აღმოჩენა ოპტიკური ხელსაწყოებით შეუძლებელი იყო.

რადიოასტრონომიაში ფართოდ იყენებენ ულტრა-მოკლე ტალღებს. ამ რადიოტალღებისათვის დედამიწის ატმოსფერო თითქმის საესეებით „გამჭვირავლია“.

რადიოასტრონომიულ მეთოდს ოპტიკურთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ რადიოასტრონომიაში გამოყენებულმა რადიოტალღების დიამეტრმა ასტრონომიული დაკვირვებებისათვის შექმნა ძალიან ფართო „რადიოფანჯარა“, რომელიც დაახლოებით უდრის რადიოტალღების ათ ოქტავას, იმ დროს, როდესაც ოპტიკურ ტალღათა დიამეტრი მხოლოდ ორ ოქტავამდეა. ეს „რადიოფანჯარა“ ასტრონომებს შესაძლებლობას აძლევს აწარმოონ რადიოასტრონომიული დაკვირვებები მთელი დღე-ღამის განმავლობაში. რადიოასტრონომიული დაკვირვებებისათვის იყენებენ რთული აგებულების სპეციალურ რადიოტელესკოპებს. ისინი წარმოადგენენ მაღალი გრძნობიერების რადიომიმღებ მოწყობილობებს, რომლებიც შეიცავს მძლავრ რადიოგამოსხივებათა სიგნალების ინტენსივობის ავტომატურ ჩამწერ აპარატურას. რადიოტელესკოპის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს მასვილიდ მიმართული ქედეების საანტენო მოწყობილობა დიდი პარაბოლური სარკით. სარკის ფოკუსში მოთავსებულია მიმღები ანტენები. არსებობს აგრეთვე სხვა სახის რადიოტელესკოპური ანტენებიც. ერთ-ერთი დიდი რადიოტელესკოპი დადგმულია სომხეთში, ბიურაკანის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

თანამედროვე რადიოტელესკოპის სარკის დიამეტრი 75 მ-მდე აღწევს. არსებული ცნობების თანახმად წარმოებს პროექტირება უფრო დიდი რადიოტელესკოპებისა, რომელთა სარკის დიამეტრი იქნება 200 მ და მეტიც.

ასეთი რადიოტელესკოპების საშუალებით შესაძლებელია რადიოგამოსხივებათა მიღება უზარმაზარი კოსმოსური მანძილებიდან.

საბჭოთა რადიოელექტრონიკის მეტად დიდი როლი ეკუთვნის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების არა მარტო ორბიტზე გაყვანის საქმეში, არამედ დედამიწაზე მეცნიერული ინფორმაციების გადმოცემაშიც თითქმის ნახევარ მილიონ კმ-მდე მანძილზე. მეორე თანამგზავრის რადიოტელემეტრული აპარატურა აწარმოებდა, მაგალითად, რადიოსიგნალების საშუალებით პირველი ცოცხალი კოსმომგზავრის — „ლოკას“ პელისი, სუნთქვის, სისხლის წნევისა და სხვა ცნობების გადმოცემას.

რადიოტელემეტრული სისტემები აწარმოებდა დაკვირვებებსა და რეგისტრაციას კოსმოსურ სივრცეში რაკეტების მოძრაობაზე და სხვ. ხელოვნური ციური სხე-

უღლებს საპროგრამო მოწყობილობანი განსაზღვრულ მომენტებში ახდენდნენ მეცნიერული საზომი აპარატურის ჩართვა-ამორთვას.

ელექტრონული მათემატიკური მანქანების საშუალებით ხორციელდებოდა კოსმოსური რაკეტების მოძრაობის ტრაექტორიების ვარიანტების გაანგარიშებანი.

შინაგანი ფოტოელექტრული ეფექტის მოვლენაზე აგებული ნახევარგამტარიანი შპს ბატარეები განაგრძობს ავტომატური პლანეტათშორისი სადგურის აპარატურის ელექტროენერგიით კვებას.

კოსმოსური სივრცის შესწავლაში მსოფლიოს რადიოელექტრონიკის ყველაზე თვალსაჩინო მიღწევათა შორის წამდგელი ტრიუმფი იყო კაცობრიობის ისტორიაში პირველად მთავრის უხილავი ნაწილის ფოტოგრაფირება და დედამიწაზე მისი გამოსახულების ტელევიზიური გადმოცემა.

მესამე კოსმოსური რაკეტის საშუალებით ორბიტაზე გაყვანილი პლანეტათშორისი ავტომატური სადგური, გარდა მეცნიერული აპარატურისა, შეიცავდა რადიოტექნიკურ, ოპტიკურ და ტელევიზიურ აპარატურას, რომელიც მართავს აწარმოებდა სადგურის საპროგრამო მოწყობილობა. დედამიწიდან რადიოგანკარგულებით მან არა მარტო გადაიღო 1959 წლის 7 ოქტომბერს მთვარის ჩვენთვის უხილავი ნაწილის ფოტოსურათებიც, არამედ ავტომატურად მოახდინა მათი გადმოცემა დედამი-

წაზე ტელევიზიური ხერხით დაახლოებით 100 მილიონ კმ-ის მანძილზე.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ რადიოელექტრონული მოწყობილობანი წარმოადგენს იმ ტექნიკის საფუძველს, რომელიც მოთავსებული იყო კოსმოსურ რაკეტებში.

საბჭოთა რადიოელექტრონიკის ამ განსაცვიფრებელმა გამოყენებამ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ ავტომატიკა და რადიოტელემეკანიკა დიდ შესაძლებლობებს შექმნიან მომავალი კოსმოსური გაფრენებისათვის, რომ შესაძლებელია ტელევიზიური ტექნიკის გამოყენება რამდენიმე ასეული ათასი კმ-ის მანძილზე, რომ აპარატურის ელექტროენერგიით კვება დიდი ღირის განმავლობაში საესეებით შესაძლებელია ნახევარგამტარიანი შპს ბატარეების მეშვეობით და სხვ.

რადიოელექტრონიკის საოცარი მიღწევები და ის, რასაც ახლო მომავალში მოგვეცეს რადიოელექტრონული ტექნიკა, ნაყოფიერად იქნება გამოყენებული კოსმოსურ ხომალდებში, რომლებიც გახედულად აიღებენ კერძს მთვარის, ვენერის, მარსისაკენ და უფრო შორსაც.

უდავოა, რომ რადიოელექტრონიკა მომავალში რეალურად მოგვეცეს ბევრ ისეთ რამეს, რაც ჩვენთვის მხოლოდ მეცნიერულ ფანტასტიკას წარმოადგენს, რაზედაც დღეს ნხოლოდ ოცნება შეიძლება.

პირველი საბჭოთა აირტურბომაგალი


კოლომნის ვ. კუბიშევის სახელობის თბომავალსაშენებელმა ქარხანამ ააო პირველი საბჭოთა მაგისტრალური აირტურბომაგალი, რომელიც მუშაობს მძიმე თხევადი საწვავით (მანუთით). ახალი ლოკომოტივის ძალური დანადგარი შედგება 3500 ცხ. ძ სიმძლავრის აირტურბინული ძრავასაგან მუდმივი დენის ელექტრული გადაცემით.

აირტურბინულ ძრავას აქვს საპირი დერბული კომპრესორი, თხევადი საწვავის წვის კამერა და აირის ტურბინა. ამ უკანასკნელის ფრთებზე მიდებული სიმძლავრის მეტი ნაწილი იხარჯება კომპრესორის აძვარზე, ხოლო დაახლოებით 30% — მთავარი ელექტრული გენერატორების ბრუნვაზე. დენი მთავარი გენერატორებიდან მიდის წვეის ელექტროძრავებთან, რომლებიც მოთავსებულია ორ სამღერძა ურკაზე. წვეის ელექტროძრავებს აქვს რძლის მეშვეობით ავტომატურად მომუშავე ველების შეესტების (მწ და მწ%) ორი საფეხური.

აირტურბომაგალის ძირითადი კვანძებია: კომპრესორი, წვის კამერის ბლოკი, ტურბინა, რედუქტორი, გენერატორი, დამმარე ძრავა გენერატორით, შემთბობი ქვაბი, საშუარეუო კომპრესორი, უკანა და წინა ურკები წვეის მოტორების გაცეცების ვენტლატორები, მაღალძაბვანი კაშვრა, საცივებელი მოწყობილობა, სათბობი ავზები აირის ტურბინისა და დამმარე ძრავასათვის.

ლოკომოტივის ცალკეული სვლისათვის გათვალისწინებულია 150 ცხ. ძ სიმძლავრის დიზელგენერატორული დანადგარი, რომლითაც აგრეთვე წარმოებს აირტურბინული ძრავას ამუშავება.

ამჟამად აირტურბომაგალი გადის საქარხნო დამკვან და რეოსტატულ გამოცდას.



გედევიზორები

მიმდინარე წლის 7 მაის შესრულდა რადიოს გამოგონების 65 წლისთავი. ჩვენი ქვეყანა სამშობლოა ადამიანის გონების ამ უდიდესი მონაპოვრისა, რომლის შექმნა დაკავშირებულია გენიალური რუსი მეცნიერის ა. ს. პოპოვის სახელთან. მან ააგო მსოფლიოში პირველი რადიომიმღები და პრაქტიკულად განახორციელა ელექტრული ტალღების მეშვეობით სიგნალების მანძილზე გადაცემის შესაძლებლობა სადნების გარეშე.

თავის რადიოსადგურის მუშაობის ჩვენება ა. ს. პოპოვმა 1895 წლის 7 მაისს მოახდინა. ამ დღეს მან რუსეთის ფიზიკურ-ქიმიური საზოგადოების ფიზიკური განყოფილების სხდომაზე წარადგინა თავისი გამოგონება, რომლის დემონსტრაციამ წარმატებით ჩაიარა და მსახველზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ამიტომაც, რომ ეს ისტორიული დღე — 1895 წლის 7 მაისი — რადიოს გამოგონების დღედ ითვლება. საბჭოთა მთავრობის დადგენილებით კაცობრიობის ამ უდიდესი მონაპოვრის აღსანიშნავად 1945 წლის 7 მაისს დაწესდა „რადიოს დღე“.

ა. ს. პოპოვის გენიალურმა გამოგონებამ ახალი ფართო პერსპექტივები გადმოაღწია მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში. მან დასაბამი მისცა მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ რიგ დარგებს — რადიოლოგიას, რადიონავიგაციას, რადიოსტრონომიას და სხვ.

რადიოს გამოგონებით ა. ს. პოპოვმა რუსეთი რადიოს სამშობლოდ გახადა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რადიოს ნამდვილი აყვავება დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

საბჭოთა სახელმწიფოს გენიალურმა შემქმნელმა ვ. ი. ლენინმა სათანადოდ შეაფასა ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც დაკავშირებული იყო რადიოსთან, როგორც ხალხში ცოდნის გავრცელების და კულტურის დანერგვის შეუდარებელ ხერხთან, როგორც პროპაგანდისა და აგიტაციის მასობრივ საშუალებასთან.


კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ სამამულო რადიოტექნიკური მრეწველობის შექმნასა და განვითარებას. ლენინის მანძილზე საბჭოთა რადიომაუწყებლობამ უდიდეს განვითარებას მიაღწია. შექმნილია მთელი რიგი მძლავრი რადიოქარხნები, რომლებიც სამამულო მასალებისგან ამზადებენ სხვადასხვაგვარ რადიოსადგურებს, რადიოაპარატურასა და

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ სამამულო რადიოტექნიკური მრეწველობის შექმნასა და განვითარებას. ლენინის მანძილზე საბჭოთა რადიომაუწყებლობამ უდიდეს განვითარებას მიაღწია. შექმნილია მთელი რიგი მძლავრი რადიოქარხნები, რომლებიც სამამულო მასალებისგან ამზადებენ სხვადასხვაგვარ რადიოსადგურებს, რადიოაპარატურასა და

ვე ქვეყანა გახდა მსოფლიოში რადიოტექნიკური მრეწველობის უმსხვილესი ცენტრი.

მიმდინარე შეიღწეულა დიდი პერსპექტივები დასახული საბჭოთა რადიოტექნიკის წინაშე. სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში დანერგვის შედეგად იგი გადაიქცა ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მძლავრ ბერკეტად. დიდი მეცნიერული გმირობა, რომლითაც საბჭოთა ხალხმა აღნიშნა შეიღწეულის დაწყება — კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვება, ასევე მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა სამამულო რადიოტექნიკის წარმატებების შედეგად. ჩვენ ახლა მტკიცედ მივდივართ იმ ისტორიულ ბეჭთან, როცა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის, მათ შორის რადიოტექნიკის, მიღწევებით კაცობრიობა სინამდვილედ აქცევს თავის მარადუქმნებ ოცნებას — ამოცნის ჯერ მთვარის, ხოლო შემდეგ მზის სისტემის სხვა პლანეტების საიდუმლოებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შეიღწეიანი გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია



ტელევიზორები (მარცხნიდან მარჯვნივ): „რუზინი-104“ და „ვორონეი“

მოწყობილობას. მთელი ჩვენი სამშობლოს უზარმაზარი ტერიტორია დაიფარა სამაუწყებლო ქსელებით. საბჭოთა ქვეყანა ერთ-ერთი მოწინა-

ტელევიზიური სადგურების რაოდენობის გადიდება 2,6-ჯერ. 1959-1965 წლებში აგებული იქნება დაახლოებით 100 ტელეცენტრი და ტელე-


სადგური, საგრძნობლად გაიზარდა ტელევიზორების წარმოება. ტელევიზორების რაოდენობა 3 მლნ-დან გაიზარდა 15 მლნ-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქისა და სოფლის 50 მლნ-ზე მეტ მცხოვრებს შესაძლებლობა ექნება ნახოს ტელეგადაცემები. ქვემოთ მოყვანაა მოცემული ჩვენი მრეწველობის მიერ გამოშვებული ზოგიერთი ახალი ტელევიზორის აღწერა.

1945 წელს გამოჩნდა პირველი ტელევიზორი „მოსკვიჩი“, რომლის ეკრანი საფოსტო ბარათზე ოდნავ დიდი იყო. მას შემდეგ ჩვენი მრეწველობის მიერ გამოშვებულია 52 ტიპის ტელევიზორი. საბჭოთა კონსტრუქტორები ცდილობენ შექმნან მცირეგაბარიტის ტელევიზორი მიმღებები ფართო ეკრანით და სტერეოფონური ხმერობით, რომელთაც მცირე ენერგია დასჭირდება და საიმედო და მოსახერხებელი იქნება ექსპლუატაციაში.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა რადიოტექნიკურმა მრეწველობამ შექმნა ტელევიზორების ახალი მოდელები. ესენია მაღალი კლასის ტელევიზორი მიმღებები: „ჩემპიონი“, „სიმფონია“, „ადმირალი“ და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა „ჩემპიონი“. გარე შესახედაობით ესაა ჰდრაიკის ჩვეულებრივი მაგიდა. მაგრამ ამ მაგიდის შიგნით დამალულია ელექტრონ-სხივური მილაკი 420×320 მმ დიამეტრის მქონე ეკრანით. იგი ადვილად ამოდის და იდგება მაგიდაზე, რომლის კედლებზეც შვიდიდან დამონტაჟებულია ტელევიზორის დანარჩენი დეტალები. „ჩემპიონს“ აქვს მართვის გამორთავი პულტი, რაც საშუალებას იძლევა იგი მომართულ იქნეს ექვსი მისი მანძილთან.

ტელევიზორი „ადმირალი“ გაანგარიშებულია 12 პროგრამის მისაღებად. მისი მართვა აგრეთვე დისტანციურია. ეკრანის ზომებია 360×475 მმ. ამ ტელევიზორს აქვს

7 ხმამაღლამოლაპარაკე, რომლებიც უზრუნველყოფს სტერეოფონურ ხმერობას. მიმღები ავტომატურად ირთვება წინასწარ მოცემულ დრო-



ტელევიზორები (ზემოდან ქვემოთ): „ჟოლინა“, „მაიაკი“, „სპუტნიკი-1“ (მარცხნივ) და „სპუტნიკი-2“.

ზე. ამავე ტიპისაა აგრეთვე ტელევიზორი „სიმფონია“. ამ მიმღებების ბაზაზე ქარხნები ამუშავებენ ახალ ტელევიზორებს მასობრივი წარმოებისათვის.

ყურადღების ღირსია ტელევიზორი „რუბინი-104“. ეს მრავალპროგრამიანი ტელევიზორი უზრუნველყოფს ტელევიზორი გადაცემების ხარისხოვან მიღებას ნებისმიერ 12 არხზე. ტელევიზორის ჩართვა-გამორთვა და გადართვა რადიოპროგრამის მისაღებად ზორციელდება კლავიშოვანი გადართვით. ბეგრის ხმერობისა და გამოსახულების მკაფიოების დისტანციური მართვა წარმოებს გამორთავი პულტით.

ტელევიზორის მონტაჟი შესრულებულია ბექდური წესით. მის

სქემაში ფართოდაა გამოყენებული ნახევარგამტარიანი ხელსაწყოები სწორკუთხა ელექტრონ-სხივურმა მილაკმა სხივის 110° კუთხის გადახრით შესაძლებელი გახდა შედარებით უფრო მაღალი ეკრანის დიდი ზომები: 478×380 მმ. ასეთი ტელევიზორის შექმნას მომხმარებელი მომავალ წელს შეძლებს.

ტელევიზორი „მაიაკის“ პირველი პარტია გასაყიდად გამოვა რამდენიმე თვის შემდეგ. ტელევიზორის კონსტრუქცია ბლოკურია (ერთი ბლოკი, მაგალითად, ემსახურება რადიორასს, მეორე — ვიდეორასს და ა. შ.). ბლოკები დამზადებულია ბექდური მონტაჟის წესით. რადიომოლაკების ნახევარი ერთობიანია. ყოველივე ეს უზრუნველყოფს წარმოების მაღალ ტექნოლოგიურობას. ამიტომ „მაიაკის“ ღირებულება მეტად მცირეა მოცემული კლასის ყველა სამამულო ტელევიზორებთან შედარებით.

გარდა ტელევიზორი გადაცემის ჩვენებისა, ტელევიზორი „მაიაკი“ საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს სამუშაო სადგური, რომელიც მუშაობს ულტრაამოკლეტალთან დიაპაზონში სიხშირითი მოდულაციით. ტელევიზორის სქემაში გათვალისწინებულია მაგნიტოფონის ჩართვა. პირველად გამოყენებულია მეკვიბე ქსელის ძაბვის რეგულირება სინათლის ინდიკატორით, რომელიც გამორთავი ტელევიზორის წინა პანელზე.

მიმდინარე წელს გასაყიდად გამოვა ტელევიზორი „ვორონეჟის“ ახალი პარტია, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.


კონსტრუქციის დამუშავებისას ძირითადი ყურადღება მიექცა ბექდური მონტაჟის მაქსიმალურ გამოყენებას. ადვილია დეტალებისადმი მიდგომა, ასევე მარტივია ტელევი-

ზორის აწყობა-დაშლა და მართვა. ტელევიზორის გაბარებები და წონა შედარებით მცირეა.

ტელევიზორი „რადიო“ თორმეტმილაქიანი მაგიდის მიმდებია, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ტელევიზიური გადაცემის, ისე ულტრაიკლეტალიანი რადიომაუწყებელი სადგურის მიღებას. მისი მეშვეობით შეიძლება ჩანაწერის აღწარმოება ფირსაკრავით ან მაგნიტოფონით. გარდა ამისა, ტელევიზორი საშუალებას იძლევა მაგნიტოფონის მეშვეობით ჩაწერილ იქნეს ბგერა.

თავისი კონსტრუქციით, ელექტრული სქემით და გარე შესახედობით იგი მოგვაგონებს „რუბინ-102“-ს. მასში გამოყენებულია სწორკუთხა კინესკოპი, რომელიც უზრუნველყოფს 270×360 მმ ზომის გამოსახულების მიღებას.

ტელევიზორის მართვა ზორციელდება შვიდი სახელურისა და კლავიშისანი გადამრთველის მეშვეობით.



ტელევიზორი „რადიო“

აქუსტიკული სისტემა შედგება ორი ხმაშლამოლაპარაკისაგან. ტელევიზორის გაბარებები: $495 \times 480 \times 435$ მმ, წონა — 35,5 კგ.


ტელევიზორი „რადიო“ სუპერბეტეროდინულ მიმღებ „ოტკეასა“-ს და უნივერსალურ ელექტროფირსაკრავთან ერთად შეადგენს კომბინირებულ მოწყობილობას — „პრიზმას“ ტიპის ტელერადიოლს. ტელერადიოლით შეიძლება როგორც ტელევიზიური გადაცემის, ასევე რადიომაუწყებელი სადგურების მიღება. გრამჩანაწერის აღწარმოება შეიძლება ელექტრობგერისაკრავის მეშვეობით. იგი საშუალებას იძლევა აგრეთვე ჩაწერილი და აღწარმოებული იქნეს ბგერა მაგნიტოფონით.

ტელერადიოლის აქუსტიკური სისტემა შედგება ოთხი ხმაშლამოლაპარაკისაგან. იგი უზრუნველყოფს ნებისმიერი პროგრამის მაღალხარისხიან აღწარმოებას და ქმნის მოცულობითი ხმერობის ეფექტს. იგი აღჭურვილია მართვის პულტით, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გამოსახულების მკაფიოებისა და ხმერობის დონის რეგულირება. ტელერადიოლის გაბარებები: $1250 \times 600 \times 580$ მმ.

ყველაზე პატარა ტელევიზორი „სპუტნიკი“ იწონის 7,4 კგ-ს. იგი დამზადებულია ნახევარგამტარიანი ხელსაწყობით ელექტრონული მილაკების გამოყენებლად. ერთადერთ ვაკუუმურ ხელსაწყოს წარმოდგენს კინესკოპი 180 მმ დიამეტრის მქონე ეკრანით. „სპუტნიკი“ განკუთვნილია ტელევიზიური გადაცემის პირველი პროგრამის მისაღებად. მისი დადგმა შეიძლება ავტომობილზე ან, ვთქვათ, საველე დგანზე — იქ, სადაც არ არის ელექტროქსელი. სხვა საბჭოურ ტელევიზორებთან ერთად მან ოქროს მედალი მიიღო ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე.

კლუბებისა და კულტურის სახლე-

ბისათვის კარგია კომბინირებული დანადგარი „ტემპი-9“. იგი 450×340 მმ ეკრანის მქონე ტელევიზორის, პირველი კლასის რადიო-



ტელერადიოლა „პრიზმა“

მიმღებისა და სტერეოფონური მაგნიტოფონისგან.

შექმნილია აგრეთვე ტელევიზორის მოდლები: „ვოლან“, „ტემპი-22“, „იზუმრუდი-201“ და სხვ. საბჭოთა კონსტრუქტორები მუშაობენ ახალ-ახალი ტელევიზორების შესაქმნელად.

ი. ჯაფარიძე

ი. ჯაფარიძე

ამ ბოლო ხანებში გამოჩნდა ახალი, ე. წ. კომბინირებული ძალური დანადგარები, რომლებშიც გამოყენებულია შიგაწვის დგუშიანი ძრავა-სა და აირტურბინის დადებითი მხარეები.

კომბინირებულმა ძალურმა დანადგარებმა დიდი გავრცელება პოვა უცხოეთში; ისინი აგრეთვე ჩვენშიც იმსახურებს ყურადღებას; მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები სამუშაოებს ატარებს ასეთი დანადგარების შექმნისა და გამოყენებისათვის. ავტომობილებში, ტრაქტორებში, თბომავლებში, გემებსა და სტაციონარულ მანქანებში.

კომბინირებული ძალური დანადგარი შედგება ორტაქტიანი თვითსუფლად მოძრავი დგუშეზიანი შიგაწვის ძრავას, აირტურბინისა და დგუშიანი კომპრესორისაგან.

გაცივრობა შიგაწვის დგუშიანი ძრავასა და აირტურბინების მუშაობის პრინციპს.

შიგაწვის დგუშიანი ძრავები მუშაობის ციკლის განხორციელების თვალსაზრისით ორ ძირითად კლასად იყოფა. ესენია ოთხტაქტიანი და ორტაქტიანი ძრავები. ოთხტაქ-


ტიანი ეწოდება ისეთ ძრავებს, სადაც მუშაობის ციკლი სრულდება მუხლა ლილვის ორ ბრუნზე, ანუ დგუშის ოთხ სვლაზე; ორტაქტიანი ძრავებში კი მუშაობის ციკლი სრულდება მუხლა ლილვის ერთ ბრუნზე, ანუ დგუშის ორ სვლაზე.

1-ლ ნახ-ზე ნაჩვენებია ორტაქტიანი დგუშიანი ძრავის მუშაობის სქემა. ცილინდრში მოძრაობს დგუში (1), რომელიც ბარბაცას (2) საშუალებით შეერთებულია მუხლა ლილვთან (3). ცილინდრის თავში მოთავსებულია გამომშვები საბურთა (4) და საწვავის მიმწოდებელი ფრქვევანა (5). ცილინდრის ქვემო ნაწილში იმყოფება საჭრევი ფანჯრები (6), რომელიც გაღება და დახურვა ხდება დგუშის საშუალებით მისი ცილინდრში მოძრაობის დროს. თანამედროვე ორტაქტიანი ძრავების ბუცი-როვნება ნაწილა საჭრევი ტუმო, ანუ საჭირხნი (7), რომელიც ჰერს საჭრევი ფანჯრებიდან ჰერს წევით აწვდის ცილინდრებში. ვინაიდან ორტაქტიანი ძრავებში ცილინდრიდან დამწვარი აირების განდევნასა და მასში ახალშეწვავილი ჰერის შესვლაზე განკუთვნილი დრო გაცილე-

ბით მცირეა, ვიდრე შესაბამისად ოთხტაქტიან ძრავებში, საჭირო გახდა ცილინდრებში ჰერის ჰერები წევით მიწოდება.


დავუშვათ, რომ ცილინდრში მოხდა წვა (ნახ. 1) და დაიწყო გაფართოების პროცესი — მუხლა სვლა. გაზრდილი წნევა აწევს დგუშს; ეს უკანასკნელი ბოლო მდგომარეობასთან (ქვედა მკვდარ წერტილთან) მისვლამდე აიღებს გამომშვებ საბურთს და წვის პროდუქტები გამოიღვენება ცილინდრიდან ატმოსფეროში (მდგომარეობა I, ისრებით ნაჩვენებია ჰერისა და აირების მოძრაობა). დგუშის შემდგომი სვლის დროს საჭრევი ფანჯარა ქვემოთ იდგება და ახალი ჰერები ჰერები წევით შედის ცილინდრში. შესული ჰერები გამომშვები ფანჯრიდან დევნის წვის პროდუქტებს და აცხებს ცილინდრს (მდგომარეობა II).

ამგვარად, პირველ ტაქტში ხდება საწვავის წვა სითბოს გამოყოფით, აირების გაფართოება და სვლის ბოლოს ნამუშევარი აირების გამოზოლქვა. მეორე ტაქტი შესაბამემა დგუშის სვლის ქვედა მკვდარი წერტილიდან ზედა მკვდარ წერტილამდე.



ნახ. 1. ორტაქტიანი დგუშიანი ძრავის მუშაობის სქემა

ამ სვლის დასაწყისში გრძელდება გაჭრევის პროცესი და ცილინდრის შევსება ახალი ჰაერით. გამოშვების სარტყელის დაკეტვის შემდეგ დღუ-



ნახ. 2. ტურბინის მუშაობის ელემენტარული სქემა

ში ხურავს საქრეფ ფანჯარას (მდგომარეობა III) და ამ მომენტიდან იწყება ახლად შესული ჰაერის შეკუმშვა. ეს პროცესი თავდება ზედა მკედარ წერტილთან ახლოს. კუმშვისაგან გახურებულ ჰაერში საწვავის განსაზღვრული ნორმის შეფრქვევის შემდეგ (მდგომარეობა IV) ხდება ააღება და იწყება წვა. აირის გაფართოების გამო დღუში მოძრაობს ქვემოთ და ციკლი მეორდება.

დღუშიან ძრავებში მიმდინარეობს აირის პოტენციალური ენერგიის გარდაქმნა უშუალოდ მექანიკურ მუშაობად დღუშე აირის წნევის გა-

აირტურბინაში აირის პოტენციალური ენერგია დასაწყისში გარდაიქმნება კინეტიკურ, ხოლო შემდეგ მექანიკურ მუშაობად. მარტივი აირტურბინის მუშაობის პრინციპი ნახევრებითაა მე-2 ნახ.ზე. აირი შედის საქშენში (4) და მასში ფართოვდება (აირის პოტენციალური ენერგია გარდაიქმნება კინეტიკურად). აქ აირი იღებს დიდ სიჩქარეს და შედის მუშა ფრთების ღარში (3). უკანასკნელი დამაგრებულია ტურბინის დისკოს ფერსოზე (2), მას მოძრაობაში მოჰყავს ლილვი (1).

მუშა ფრთებს, სადაც მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი, ეწოდება

ტურბინის საფეხური. მარტივ აირტურბინებს, რომლებსაც მხოლოდ ერთი საფეხური აქვს, ეწოდება ერთსაფეხურიანი და განსხვავდება შედარებით რთული მრავალსაფეხურიანი ტურბინებისაგან (ნახ. 3).

სამრეწველო აირტურბინული დანადგარი შედგება ორი ძირითადი ავრგატისაგან: ღერძული კომპრესორისა და თვით აირტურბინისაგან.

კომპრესორის (1) მიერ შეკუმშული ჰაერი მიეწოდება წვის კამერას (2) (ნახ. 3). ამ უკანასკნელში მოთავსებულია ფრქვევანა (3), რომელსაც საწვავს აწვდის ტუმბო (6). ჰაერთან შერეული საწვავი იწვის კამერაში (2). დამწვარი აირები მიდის (5) საშუალებით შედის აირტურბინაში (4).

აირების გაფართოების შედეგად მიღებული კინეტიკური ენერგია ფრთებზე გარდაიქმნება მექანიკურ ენერგიად და აბრუნებს ლილვს.

აირტურბინული დანადგარის დიდი ენერგიის ნაწილი იხარჯება კომპრესორზე, რომელიც ჰაერს წნევით აწვდის წვის კამერაში. ეს გარემოება საკარძნობლად ამცირებს აირ-


ტურბინული დანადგარის ეფექტურობას.

ზემოთ განხილულ ძრავებს, ე. ი. აირტურბინებს, და დღუშიან შეგავსის ძრავებს აქვთ დიდებითი და უარყოფითი მხარეები.

აირტურბინის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ მომენტად ითვლება მის მუშა ზედაპირში შემავალი აირის მაღალი ტემპერატურა, რაც იწვევს ტურბინის დისკოს ფრთების მიწვას.

დიდი წარმატებები მიღწეულია ტურბინის ფრთებზე ცეცხლამძლე ფლორის გამოყენებაში, მაგრამ ეს პრობლემა ჯერ არ შეიძლება სავსებით გადაწყვეტილად ჩაითვალოს.

ზოგიერთ შემთხვევაში აწარმოებენ წვის კამერაში შესვლამდე კომპრესორიდან გამოშვებული ჰაერის შეთბობას ტურბინიდან გამოსული აირებით. ამით მცირდება საწვავის ხარჯი, რომელიც საჭიროა ტურბინაში შემავალი აირების მოცუვლილი ტემპერატურის მისაღებად. ავრგატს, რომელიც ახორციელებს ასეთ შეთბობას, იბომცველი ეწოდება უკანასკნელმა, როგორც ეკონომი-



ნახ. 3. აირტურბინული დანადგარის სქემა

რობის გაუმჯობესების საშუალებამ, გავრცელება პოვა აირტურბინულ დანადგარებში.

აირტურბინული დანადგარი გაცილებით მსუბუქია, ვიდრე იმავე სიმძლავრის დღუშინი ძრავა. დღუშინი ძრავებში მუხლა ლილვის ბრუნვისას წარმოქმნილი გაუწონასწორებელი ძალები და ვიბრაციები მოითხოვს, რომ ძრავას საერთო ჩონჩხი იყოს მასიური და ხისტი. ეს კი საგრძნობლად ზრდის ძრავას წონას. აირტურბინულ ძრავებში ადგილი არა აქვს გაუწონასწორებელ ძალებს და ვიბრაციებს, ამიტომ აუცილებელი არაა მისი მასიურობა.


დღუშინი ძრავების რეკონსტრუქცია და მისი მომსახურება რთულია, ვიდრე აირტურბინისა, რადგან მუხლა ლილვის მბრუნავ ნაწილებს დიდი ძალა ადგას და ნაწილწკლად დატვირთვას განიცდის.

აირტურბინული ძრავა ეფექტურ მუშაობას აღწევს ლილვის მაღალ ტარუნეობას (25-30 ათასი ბრუნი წუთში). ეს ერთულებს მის გამოყენებას, რადგან საჭიროებს რელექტორის დადგმას სამცირებელი გადაცემათა რიცხვით.

არსებული თბური ძრავების ზემოჩამოთვლილმა უარყოფითმა და დადებითმა მხარეებმა წარმოშვა იმის საჭიროება, რომ შექმნილიყო ძალური დანადგარი, სადაც გამოყენებული იქნებოდა ამ ძრავების მხოლოდ დადებითი მხარეები. შიგაწვის დღუშინი ძრავას, აირტურბინისა და კომპრესორისაგან შემდგარი კომბინირებული ძრავას შექმნის იდეა არ წარმოადგენს სიახლეს. ასეთი ძრავები შეიძლება აგებულ იქნეს სხვადასხვა სქემით.

მაგალითად, გავრცელება პოვა ძრავებმა, რომელთა ცილინდრებშიც წნევილი მიეწოდება ჰაერი. კომპრესორი ან საჭირბინი, რომელიც აწევს ჰაერს, მოძრაობაში მოდის აირტურბინის საშუალებით. ეს უკანასკნელი კი ბრუნავს დღუშინი ძრავის გამონაბოლქვი არიების ხარჯზე. ასეთი ძრავა პრინციპული სქემა

ნაჩვენებია მე-4 ნახ-ზე, სადაც 1—შიგაწვის დღუშინი ძრავაა (დღუშე-ლი), 2—აირტურბინი და 3—კომპრესორი. ამ პრინციპზე მომუშავე



ნახ. 4. ტურბოკომპრესორული ძრავის სქემა

ძრავას ტურბოკომპრესორული ძრავა ეწოდება. ძრავაში შესვლილი ჰაერის წნევის აწევით იმატებს წონითი შევსება ცილინდრში, იწვის საწვავის მეტი რაოდენობა, რასაც მოჰყვება ძრავას სიმძლავრის მომატება.

ამგვარად, რაც მეტია ჩაბერვის წნევა, მით უფრო მეტი სიმძლავრე შეიძლება მივიღოთ ძრავასაგან. მაგრამ ჩაბერვის წნევა შეზღუდულია, ერთი მხრივ, ძრავას სიმტკიცით, ვინაიდან იქმნება დიდი დაწოლა ბარბაცა-მრულმხარა მექანიზმზე, მეორე მხრივ კი — კომპრესორის ბარბაცაზე სიმძლავრის დანაკარგებით.

წარმოიშვა იდეა, რომ შექმნილიყო ისეთი დანადგარი, სადაც დღუშინი ძრავა იმუშავებდა მხოლოდ კომპრესორის ამძრავად, ხოლო აირტურბინი მოძრაობაში მოვიდოდა ამავე ძრავას გამონაბოლქვი არიების ხარჯზე. ასეთ დღუშინ ძრავას არა აქვს ბარბაცა-მრულმხარა მექა-

ნიზმი და ამიტომ ჩაბერვის წნევა შეიძლება არ შეიზღუდოს. ასეთი კომბინირებული დანადგარი პირველად წამოყენებული და განხორციელებული იყო ფრანგ ინჟინერ პესკარას მიერ. მისი დანადგარი შედგება თავისუფალ დღუშინი არაგერატორის, დღუშინი კომპრესორისა და აირტურბინისაგან. ტერმინი „თავისუფალ დღუშინი“ ნიშნავს, რომ ამ ძრავას დღუშები მოძრაობს თავისუფლად და შეერთებულია არა ძალური კავშირის განხორციელებით, არამედ მხოლოდ მოძრაობის სინქრონიზაციისათვის.


ასეთი დანადგარის სქემა ნაჩვენებია მე-5 ნახ-ზე. ცილინდრში (1) ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობს კომპრესორის დღუშებთან ხისტად შეერთებული დღუშები (2), რომლებიც მოძრაობის მოწინააღმდეგე მხარეს ქმნის საუფურო კაშხარს (3).

დღუშების მეშა სვლის დროს (განმარტობა) მიმდინარეობს შემდეგი პროცესი. იმ მომენტში, როდესაც დღუშები ზედა მკვდარ წერტილთან ახლოა, გამჭრქვევის (4) საშუალებით ცილინდრს მიეწოდება საწვავი. ამ დროს ჰაერის ტემპერატურა ცილინდრში აღემატება საწვავის თვითაღების ტემპერატურას და ხდება წვა. წვის შედეგად ცილინდრში იზრდება აირების წნევა და ხდება დღუშების დაცილება. ერთდროულად განშლად მოძრაობას იღებს კომპრესორის დღუშები, რომლებიც ჰაერს აკუმულს საბუფერო კამერაში. აქვე დროს იღება სარჩქელი (5) და მიმდინარეობს ატმოსფერული ჰაერის შეწოვა, რითაც ივსება კამერა (6).

დღუშები განაპირა მდგომარეობაში მისვლამდე პირველად აღებს გამომშვებ ფანჯრებს, საიდანაც გამოსული აირები შედის აირსაგრებში (7). შემდეგ იღება საჭრევი ფანჯრები, რომელთა საშუალებით სირთულიან (8) ხდება ჰაერის მიწოდება

ცილინდრში. შესული ჰაერი წვის პრიოდუქტებისაგან წმენდს ცილინდრს და ავსებს მას ახალი ჰაერით. დღუშების უკუსვლა ხორცი-

მასინქრონიზებული მექანიზმის კილიანა გამოყენებულია აგრეთვე საწვავის ტუმბოს ამქრავად. ამ მექანიზმის გარეშე ძნელი იქნებოდა



ელდება საბუფერო კამერაში არსებული შეკუმშული ჰაერის ენერგიის ხარჯზე.

დღუშების კრებადი მოძრაობისას ჰაერი იკუმშება კამერაში, შემდეგ საჭირხინი სარქველების (9) გავლით შედის სილრუშში. უკანასკნელიდან შეკუმშული ჰაერი გამოიყენება ცილინდრის ნარჩენი წვის აირებისაგან გასაწმენდად და მის შესავსებად. დღუშები ამ სვლის დროს კეტავს საჭრევ და გამოშვებ ფანჯრებს და კუმშავს ჰაერს ცილინდრში. ზედა მკვდარ წერტილიდან ახლოს დღუშების ყოფნისას ცილინდრში იფრქვევა საწვავი და იწყება ციკლის განმეორება. ძრავას ცილინდრში მყოფი ნამუშევარი აირები საჭრევ ნაჭარბ ჰაერთან ერთად შედის აირსაყრებში, საიდანაც მიემართება ტურბოდანადგარში (10). ტურბინაში შესული აირები ასრულებს სასარგებლო მუშაობას და აბრუნებს მის ლილვს.

ძრავას ცილინდრში შესრულებული მუშაობა უშუალოდ გადაეცემა კომპრესორის დღუშებს. მუშა ციკლის შესრულებისათვის აუცილებელი არაა მექანიკური კავშირი იყოს დღუშებს შორის. დღუშების არასიმეტრიული გადაადგილების თავიდან ასაცილებლად იყენებენ მასინქრონიზებულ მექანიზმს, რომელიც ახდენს დღუშების კოორდინირებულ მოძრაობას.

ნახ. 5. თავისუფალ დღუშოანი აირტურბინული დანადგარის სქემა

ცილინდრში საწვავის მიწოდების განხორციელება დღუშის განსაზღვრული მდგომარეობის დროს.

დანადგარის ამუშავება ხდება შეკუმშული ჰაერით. ამისათვის დღუშებს სპეციალური მექანიზმის საშუალებით გადაადგილებენ განაპირა მდგომარეობაში. საბუფერო კამერას მიეწოდება შეკუმშული ჰაერის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც გადაადგილებს დღუშებს და ახდენს პირველ სვლას. მკვდარ წერტილიდან დღუშების მიახლოებისას ცილინდრში შედის საწვავი და დანადგარი იწყებს მუშაობას.

დანადგარის მუშაობის გაჩერებისათვის საჭიარისაა გადაიცეოს საწვავის მიწოდება ცილინდრში.

კონსტრუქციული და თეორიული თვალსაზრისით აღწერილი თავისუფალ დღუშოანი ძალური დანადგარი სრულყოფილად ითვლება.

კომბინირებული დანადგარების დღუშოანი აირგენერატორების ჩვეულებრივი აირტურბინული ძრავას კომპრესორს, წვის კამერას და თბოგადამცემს. ამასთან ერთად თავისუფალ დღუშოანი კომბინირებული დანადგარის აირტურბინის აქვს პატარა ზომები, რადგან ტურბინის მთლიანი სიმძლავრე ეფექტურია და არ იხარჯება კომპრესორის მართვაზე.

თავისუფალ დღუშოანი დანადგარში საწვავის წვის დროს ტემპერატურა 1600°C -ს აღწევს, ხოლო წნევა — 150 ატმ-ს. გენერატორში აირების წინასწარი გაფართოების შედეგად აირების ტემპერატურა $400-600^{\circ}\text{C}$ -მდე ეცემა. ასეთ ტემპერატურაზე მომუშავე აირტურბინა მისი ფრთებისათვის არ საჭიროებს სპეციალურ ცეცხლგამძლე მასალებს. თავისუფალ დღუშოანი დანადგარის განსაკუთრებულ უპირატესობად ითვლება რემონტის სიმარტივე და მასალების ეკონომია (არ საჭიროებს მუხლს, ლილვს, ბარბაქო-მრუდმხარა მექანიზმსა და სხვ.), რის ხარჯზეც მისი ღირებულება 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე იმავე სიმძლავრის დიზელის ძრავასი. თავისუფალ დღუშოანი აირგენერატორი მთლიანად გაწონასწორებულია და ამიტომ არ საჭიროებს სპეციალურ საძირკველზე დადგმას.

თავისუფალ დღუშოანი კომბინირებული ძალური დანადგარების დიდმა წარმატებებმა გამოიწვია მათი მძაფრი განვითარება უცხოეთში. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია




ნახ. 6. თავისუფალ დღუშოანი აირტურბინული ავტომობილი XP-500

წია ფრანგულმა ფირმამ „სიგმა“ და გამოუშვა GS-34 მარკის სტანდარტული თავისუფალ დგუშიანი აირგენერატორული ძრავები. უკანასკნელის ცილინდრის დიამეტრია 340 მმ, აირის წნევა ტურბინაში შესვლამდე 4 ატმ. და ავითარებს 1250 ცხ. ძ სიმძლავრეს. ამჟამად აღნიშნული ტიპის ძრავები გამოყენებულია ლოკომოტივებში, სტაციონარულ ელექტროსადგურებსა და გემების ამძრავად.

1956 წელს ინგლისში დიზელები-სა და ტურბინების საშენებელი ქარხნების ბაზაზე ორგანიზებულ იქნა თავისუფალ დგუშიანი აირგენერატორების წარმოების დიდი კომპანია (Free Piston Engine Company).

ამჟამად აშშ-ში აგებულია სხვადასხვა ტიპის მთელი რიგი თავისუფალ დგუშიანი აირგენერატორის მოდელები; შექმნილია საცდელი და



ნახ. 7. თავისუფალ დგუშიანი აირტურბინული ტრაქტორი „ტაიფუნი“

საწარმოო ნიმუშები, რომლებიც განკუთვნილია რკინიგზის ტრანსპორტის, ავტომობილის, ტრაქტო-

რისა და სტაციონარული დანადგარებისათვის.

1956 წელს ფირმამ „ჯენერალ-მოტორს“ ჩაატარა ექსპერიმენტული ავტომობილის XP-500 გამოცდა (ნახ. 6), რომელზედაც დადგმული იყო 250-ძალიანი თავისუფალ დგუშიანი აირგენერატორი.

„ფორდმა“ გამოაქვეყნა 50 ცხ. ძის სიმძლავრის აირტურბინული ტრაქტორის — „ტაიფუნის“ გამოცდის შედეგები (ნახ. 7).

ჩვენი ქვეყნის ქარხნებმაც დაამუშავა საცდელი ნიმუშები და უმოკლეს დროში სახალხო მეურნეობისათვის გამოუშვებს თავისუფალ დგუშიანი აირგენერატორულ დანადგარებს.

გ ა ს ტ რ ო ს კ ო პ ი

ლუნვადი გასტროსკოპი გათვალისწინებულია ექუბის ლორწოვანი გარსის ვიზუალური შესწავლისათვის. იგი ოპტიკური ზელსაწყობა და ექუბში შეჭაყვთ პირის ღრუდან.

გასტროსკოპი გამოიყენება ექუბის ისეთი დაავადებების, როდესაც ეცხო სხეულის შეყვანა არ იწვევს საყლაპავი მილის ექდლის დაზიანებას.

დაავადებათა ასეთ სახეს ექუთვის რენტგენის სხივებით ან ეკუთვის სხვა კლინიკური მეთოდებით მწელად გამოსაცნობი ექუბის ლორწოვანი გარსის წყლულოვანი პროცესის საწყისი ფორმები და ეროზიები, კეთილ და ავთვისებიანი ახალწარმოქმნები, გასტროტები და სხვ.

გასტროსკოპი შედგება მაგარი მილის (4), რეზინის გარსში მოთავსებული ლუნვადი მილის (3), რეზინის ბუნიიანი ელექტრონოთურის (2), ელექტრონოთურიანი სახელურისა (5) და ორმაგი რეზინის ბალონისაგან (1).


ხელსაწყო მარტივი და ადვილად სახმარია. ლუნვადი მილი ადვილად ეჭევი მის შეყვანას. ხელსაწყო ბოლოზე მოთავსებული რეზინის ბირთვისებრი ფორმის ბუნიი კი ზელს უწყობს საყ-

ლაპავი მილის განსაკუთრებით ვიწრო ადგილებში გატარებას და დაზიანებისაგან იცავს ლორწოვანი გარსის ზედაპირს.

უდიდესი ლუნი მილისა, რითაც წარმოებს გამოკვლევა ± 70°-ია.

ხელსაწყოს ოპტიკური ნაწილი მაგარი და ლუნვად მილზე დამონტაჟებული ლინზათა სისტემაა.

გასტროსკოპის ელექტროგანათება წარმოებს ელექტრონოთურებით, რომელთა ნომინალური ძაბვაა 4 ვატი. განათების წყაროა აკუმულატორი ან მშრალი ბატარეები.



ხელსაწყოს მანიპულაციის ადვილებს სახელურ-ამომრთველი, რომლის ზონარი უდრედება კეების წყაროს.

ექუბის კედლის გასაქმად და მწელად მისადგომი ნაწილების უკეთესი ვიზუალური განიჭვისათვის ორმაგი რეზინის ბალონით ექუბში იჭირნება პერი, რომელიც შედის ლუნვადი მილის ქვედა ნაწილში მოთავსებული მილიდან.



თბუშრი გარიგები

რ. პარლაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ავიაციის ისტორია დღიდან წარმოშობისა არის ფრენის სიჩქარის, სიმაღლისა და სიშორის გაზრდისათვის შეუზოგარი და უწყვეტი ბრძოლის ისტორია.

სულ უფრო ჩქარა, ჩქარა და ჩქარა თვითმფრინავთა სიჩქარისათვის ბრძოლის 50 წლის განმავლობაში თითქმის 50-ჯერ მოხდა მისი გაზრდა. ფრენის სიჩქარის ყოველი ახალი კმ ბრძოლით მოთავედობდა. სულ ცოტა ხნის წინათ ავიაცია შეეგება ე. წ. ბევრით ბარიერს. კონსტრუქტორული აზრისა და თვითმფრინავის დამუშავლებელ საწარმოთა რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობით ეს ბარიერი გადალახულ იქნა. მაგრამ ამ ხანებში გამოჩნდა თბურ ბარიერად წოდებული ახალი დამბრკოლები.

უჭარა ამინდში. მიწაზე უძრავად დგომისას თითქმის შეუგარძნობი პაერი სათაში რამდენიმე ათეული კმ სიჩქარით მოძრაობის დროს გადაიქცევა უხილავ, მაგრამ საგრძნობ დამბრკოლებად. სათაში რამდენიმე ასეული კმ სიჩქარისას სიჩქარის წინააღმდეგ იბრუნება, რომ „უკან“ საავიაციო ძაბვების პირდაპირი უღერის ნაწილს. თავის ღრუზე ეს გაბადა გარსდენი ფორმის თვითმფრინავებისა და მაღალი სიმაღლის დღეშინი საავიაციო ძრავების შექმნის საბაზი.

მაგრამ პაერის წინააღმდეგ თანდათანობით ზრდა უმნიშვნელო იყო იმ უსიამოვნო დამბრკოლებებთან შედარებით, რომელიც ავიაციას სიჩქარისათვის ბრძოლისას ელდა. მათ შორის პირველი იყო ზემოთ აღნიშნული ბევრით ბარიერი: ფრენის სიჩქარის ბაერის სიჩქარესთან მიხედვების შესაბამისად პაერი თითქმის ყვარდება, კარგავს პოინტონას. რატომ ხდება ეს? პაერში მოძრაო ყოველი სხეული თითქმის „აღფრთხვს“ მის სიმაღლეს, აშვირდება ზა პაერის ფრენის თავის წინ. შევიძლება გადავიტყუო ყველა მხარეს, მათ შორის პაერის იმ ფენებსაც, რომლებიც მოთავსებულია კერ კიდევ შორის, სხეულის წინ. იგი თითქმის აფრთხვდება მათ სხეულის მიხედვების შესახად და პაერი „აეფუება“ იმას, რომ გარს უნდა შემოვიღონ სხეულს. მაგრამ შედეგად პაერში ვერცხდება არა ერთბაშად, არამედ გარყვეული სიჩქარით, კერძოდ ბაერის სიჩქარით. ცხადია, თუ თვითმფრინავის სიჩქარე გატოვდება ამ სიჩქარეს, მაშინ გაფრთხილება შეწყდება და პაერი მოუქმადდება აღმოჩნდება მის გარსშეშლისადა. წინა ნაწილებზე — ფუხელაის ცხვირისა და თვითმფრინავის ფრთებზე — წარმოიქმნება შექვეშული პაერის „ქუდი“, რომელიც განუწყვეტლივ ახლდება.

თვითმფრინავის მდგრადი გარსშეშლის მკვეთრი დარღვევა და ბაერის სიჩქარის ტოლი სიჩქარის მიღწევისას პაერის ნაადრეს მოწყვეტა თვითმფრინავის ძლიერ საფრთხო რყევის იწვევს, რომელიც, გარდა ამისა, ამ დროს უმეტეს შემთხვევაში სიჩქარის ამ საშუაო ფენის ასეილებულ კონსტრუქტორებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს თვითმფრინავის ფორმის („ამოკრებს“ ბაერით ბარიერის) სრულყოფილ და რეაქტიული ძრავების (ავიატორებს პარლანდემ ტრანსწებს) შექმნაზე. ბაერის სიჩქარეზე მეტი სიჩქარისა შემიძლიაოებულ პაერის „ქუდი“ თვითმფრინავის წინ რჩება (ფრენის წინააღმდეგობა თუმცა მატულობს, მაგრამ საგრძნობლად ნელა, ვიდრე ბაერით სიჩქარის დროს) და ფრენის რეჟიმს მტნაყვებად მტკიცე ხდება, ამიტომ თვითმფრინავის ბარიერის სიწინააღმდეგობა უმეტეს შემთხვევაში ბარიერის იქით თვითმფრინავს არანაღლებს საშუაო დამბრკოლებებს ელდება.

განგაზრციელოთ წარმოსახვითი გაფრენა. თვითმფრინავს გაგრძელნ დაუბარეოთ ყველასათვის ცნობილი ხელსაწყო — თერმომეტრი და დავაკვირდეთ მის მაჩვენებლებს. ავიდათ 11 კმ-ის სი-

ავტომატური საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფოში, მათ შორის ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენ აქ მოგვყავს სქემა, რომელიც გვიჩვენებს თუ საფრანგეთის რომელი ქალაქებია ერთმანეთთან შეერთებული ავტომატური სატელეფონო კავშირით. როგორც სქემიდან ჩანს, პარიზიდან პირდაპირ რეკავენ ტულუზში, ლიონში, რუაში. ნიცადან, მონპელიედან, სტრასბურგიდან აბონენტები უშუალოდ უკავშირდებიან პარიზს.



ნახ-ზე მოცემულია ის ქალაქები, რომლებთანაც პარიზს ავტომატური სატელეფონო კავშირი აქვს დამყარებული



გასულ წელს საბჭოთა კავშირში ავტომატური სატელეფონო კავშირი დამყარდა მოსკოვსა და ლენინგრადს შორის. მოსკოვის აბონენტმა რომ ლენინგრადში დარეკოს, ამისათვის საჭიროა მან თავის ტელეფონზე აკრიფოს ჯერ ციფრები 91-91, ხოლო შემდეგ ლენინგრადის აბონენტისა და ბოლოს საკუთარი ტელეფონის ნომერი, ე. ი. აბონენტი 3 ნომერს კრებს ლენინგრადში დასარეკად, მაგრამ ათიც რომ იყოს, ეს უფრო მოსახერხებელია, ვიდრე საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის გამოძახება და ლოდინი.

თუ მოსკოველი აბონენტის ნომერია 8-9-31-99, ლენინგრადელისა კი—7-41-15 და მოსკოველი მოქალაქე ლენინგრადში რეკავს, მან უნდა აკრიფოს ციფრები 91-91, 7-41-15, 8-9-31-99. ლენინგრადელ აბონენტთან შეერთებას სჭირდება არა უმეტეს 10 წამი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქალაქთაშორისო ავტომატური სატელეფონო კავშირის აპარატურის ექსპლუატაციამ გადაცემამდე, მან გამოცდის დროს საშუალება მისცა სკკპ XXI ყრილობის დელეგატებს მოსკოვიდან პირდაპირ დაერეკათ შემდეგ ქალაქებში: ლენინგრადში, კიევიში, ტალინში, ვილნიუსში, ჩელოაბინსკში, პენზაში, კუიბიშევში, რიზანაში, სვერდლოვსკში, კალინინში, სარატოვსა და ტულაში.

აპარატურა დაამუშავა კავშირგაბმულობის ცენტრალურმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, ხოლო დაამონტაჟა მოსკოვის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურმა.

ამჟამად კავშირგაბმულობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამუშავებს ისეთი აპარატურის ტიპურ პროექტს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ქალაქებს შორის ავტომატური სატელეფონო კავშირის განსახორციელებლად.

უახლოეს 2-3 წელიწადში განზრახულია ექსპლუატაციაში შევიდეს ავტომატური საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მოსკოვი-ხარკოვი-დნეპროპეტროვსკი, მოსკოვი-გორკი-ყაზანი-პერმი-სვერდლოვსკი, მოსკოვი-კუიბიშევი-ჩელოაბინსკი, მოსკოვი-სმოლენსკი-მინსკი, მოსკოვი-კიევი-ლვოვი.


ქალაქებს შორის ავტომატურმა კავშირმა ახალი რთული ტექნიკური პრობლემა დააყენა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის წინაშე. მართლაც, საქა-

საქალაქთაშორისო კაბელური ხაზების ქსელის ზრდა შეიძლება


ლაქთაშორისო ლაპარაკის დროს აბონენტებმა ფული უნდა გადაიხადონ იმის მიხედვით, თუ სად დარეკეს და რამდენ ხანს ილაპარაკეს, ე. ი. საჭირო გახდა ისეთი მოწყობილობის დამზადება, რომელიც ამას ავტომატურად აღნიშნავს. მაგრამ, გარდა ამისა, ავტომატურად უნდა იქნეს დადგენილი რომელიმე ტელეფონმა ილაპარაკა სხვა ქალაქთან და რა ნომერი გამოიძახა. ამ საკმარისი რთული ამოცანის გადაწყვეტა ნაწილობრივ გააადვილა იმან, რომ აბონენტი თვით კრებს საკუთარ ნომერს, რითაც „აუცილებლად“ სადგურს, თუ ვის უნდა გადაახდენინონ ლაპარაკის საფასური. მაგრამ ხომ შეიძლება აბონენტმა სხვისი ნომერი აკრიფოს, რომ ფული მან არ გადაიხადოს? არა, ეს არ მოხდება. სპეციალური „გონიერი“ ავტომატი შეამოწმებს ამას და, თუ აბონენტმა სხვისი ნომერი აკრიფა, მას არ მისცემს საშუალებას დარეკოს სხვა ქალაქში — დაკავებულის სიგნალს გაუგზავნის.

აღრიცხვის ყველა მონაცემი ავტომატურად იმეკდება სპეციალურ ბარათებზე ასომბეჭდვით აპარატურის დახმარებით. პირველად ასეთი აპარატი უერთდება აბონენტის ხაზს და „იგებს“, თუ რომელ ნომერს სურს საქალაქთაშორისო ლაპარაკი, შემდეგ აპარატი დგება ღერძის იმპულსებს, რომლებიც სხვა ქალაქში იგზავნება. ამის მიხედვით ირეკევა — რა ნომერია მეორე ქალაქის ტელეფონი. რაც შეეხება ლაპარაკის დაწყებასა და დამთავრების დროს, ეს შედარებით იოლად ხდება, რადგან სპეციალური იმპულსები იგზავნება ცენტრალური საათის სადგურიდან. ბოლოს ავტომატები ანგარიშობენ, რამდენი უნდა გადაიხადოს აბონენტმა და ანგარიშს პერფორირებულ ლენტზე ბეჭდავენ.

ასე რომ, ყველა ოპერატორი, რაც დღეს ტელეფონისტების დახმარებით ხორციელდება, ავტომატური სატელეფონო კავშირის დროს მთლიანად ავტომატიზებულია. საინტერესოა, რომ ბრიუსელში, სადაც ყოველდღიურად 70 000 საქალაქთაშორისო ლაპარაკი მიმდინარეობს, მთელი აღრიცხვა სრულდება 18 მანქანა-ავტომატის დახმარებით, რომლებსაც მხოლოდ 30 კაცი



პერფორირებული ლენტი, რომელზედაც ავტომატურად აღნიშნულია ერთი სატელეფონო ლაპარაკი



1959.

1965.

რადიორელეური ხაზების ზრდა 1959-1965 წწ.

ემსახურება, მაშინ როცა ბრიუსელის სატელეფონო ქსელში 220.000 ტელეფონია გაერთიანებული.

ქალაქთა შორის ავტომატური ტელეფონის კავშირის განხორციელებისთვის, გარდა იმისა, რომ საჭიროა სპეციალური „გონიერი“ მოწყობილობები და ავტომატური ტელეფონის სადგურები, აუცილებელია ქალაქთა შორის საკმაო რაოდენობის შემავრთებელი ხაზების გაყვანა. სხვათაშორის არც შეიძლება იყოს. განა შემავრთებელი ხაზების საშუალებით არაა, რომ თბილისის ერთი ავტომატური ტელეფონის სადგურის აბონენტი რეკავს მეორე ავტომატური სადგურის აბონენტთან? რაც უფრო მეტია ასეთი ხაზები, მით უფრო ადვილდება კავშირი. თუკი შემავრთებელი ხაზების რაოდენობა მცირეა, აბონენტი პირველივე ციფრის აკრეფისას დაკავებული სიგნალს ღებულობს.

ქალაქის ფარგლებში შემავრთებელი ხაზების პრობლემა შედარებით ადვილად წყდება, ქალაქებს შორის ასეთი ხაზების გაყვანა კი ძნელია და საკმაო ხარჯებს მოითხოვს.

ქალაქებს შორის შემავრთებელ ხაზებად უმთავრესად გამოყენებულია კაბელები და რადიორელეური ხაზები, რომლებშიც ერთდროულად მრავალი ადამიანი ლაპარაკობს. მაგალითად, საბჭოთა სპეციალისტებმა დაამუშავეს რადიორელეური აპარატურა „ვესნა“, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს 1800 ერთდროული სატელეფონო ლაპარაკი. ეს მრავალარხიანი სისტემა რამდენიმე ათას კმ-ზე ამყარებს კავშირს. აღვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ სიმორცხე გაყვანილი მაგისტრალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს რამდენიმე დიდი ქალაქის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

უკანასკნელ წლებში რადიორელეური ხაზების მშენებლობას დიდი ყურადღება დაეთმო როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, საბერძნეთში, იაპონიაში.


ჩვენს ქვეყანაში განზრახულია ახალ შეიღწეულში საკაბელო ხაზების სიგრძე ვაიხარდის 2-ჯერ, ხოლო რადიორელეური ხაზებისა კი — 8,4-ჯერ, შემდგომ

წლებში კიდევ უფრო მეტი ქალაქი დაუკავშირდება ერთმანეთს.

მიმდინარე წელს უნდა დაიწყოს რადიორელეური ხაზის მშენებლობა საქართველოში. პირველი ასეთი ხაზი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისს შეერთებს ქუთაისთან. შემდგომ წლებში ხაზი გაგრძელდება სოხუმამდე, ხოლო თავის მხრივ სოხუმი რადიორელეური ხაზით მოსკოვს შეუერთდება. ისე რომ, თბილისი კავშირის ამ სისტემით აღმოჩნდება პირდაპირ აკრებს თავის ტელეფონზე მოსკოვის ტელეფონის ნომერს და პირიქით. მაგრამ თბილისი მარტო მოსკოვს როდი დაუკავშირდება რადიორელეური ხაზით: განზრახულია ასეთი ხაზი აიგოს თბილისსა და ერევანს და აგრეთვე თბილისსა და ბაქოს შორის. რასაკვირველია, რადიორელეური ხაზები ახლო მდებარე ქალაქებსაც დააკავშირებს თბილისთან მოხერხებული სისტემით.

ავტომატური სატელეფონო კავშირის ფართოდ დაწერგავს ალბათ დიდად შეუწყობს ხელს საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინერების მიერ დამუშავებული ე. წ. ტალღასატარი ხაზები. როგორც ფიქრობენ, ერთი ტალღასატარი ხაზით შესაძლებელი გახდება ერთდროულად ათი ათასობით ადამიანმა ილაპარაკოს ქალაქიდან ქალაქში და ამასთან გადაეცეს მრავალი ტელევიზიური პროგრამა.

საბჭოთა კავშირში მუშავდება დიდ ქალაქებს შორის ავტომატური სატელეფონო კავშირის დამყარების გენერალური პროექტი. როცა ეს განხორციელდება, ყველა ამ ქალაქის ავტომატური ტელეფონის სადგური გახდება შემადგენელი ნაწილი ჩვენი ქვეყნის ერთიანი სატელეფონო ქსელისა, ისევე როგორც დღეს თბილისის რაიონული ავტომატური ტელეფონის სადგურებია გაერთიანებული ერთ ქსელში. ეს იქნება სამაშულო ტექნიკის შესანიშნავი გამარჯვება.



კავშირი ტალღასატარი ხაზით

მცირედდაყოფილი აფეთქება და მისი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოს ნახშირის შახტებში

ინჟინერი გ. პერიკოპლი

თანამედროვე სამთამადნო მრეწველობაში სხვადასხვა სახის სამთო ქანების მოსაწვრევად ფართოდ გამოიყენება ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ შრომატევად პროცესს, განსაკუთრებით სამთო გამონამუშევრების გავანის კომპლექსში. იმისდა მიხედვით, თუ დროის რა შეაღწემა ხდება სერიის მუხტებზე დეტონაციის ლიქვა, ასევეავენ მუხტების აფეთქების მცირე, დაყოფილ და მცირედდაყოფილ ხერხებს.

მუხტის აფეთქების გარემოზე მოქმედების ყველაზე გავრცელებული შეხედულებით, პირდაპირ დარტყმით ტალღებს, რომლებიც აფეთქების ადგილიდან ყველა მიმართულებით ვრცელდება, ქანის დაწნევაზე დიდი წინააღმდეგობის გაწევის გამო არ შეუძლია გამოიწვიოს მასივში დიდი მსხვრევა. ყველაზე უფრო მეტ მსხვრევას იწვევს გაშიშვლებული ზედაპირიდან ანარეკლი დარტყმითი ტალღები, რომლებიც ქანში წარმოქმნის მის წინააღმდეგობაზე გატილებით მეტ გამჭიმვას და ამხლეჩ ძალებს (იხ. ნახ.). ამის გამო ფეთქებადი ნივთიერების მუხტის ძირითადი მოქმედება წარმოებს მისი ცენტრიდან გაშიშვლებული ზედაპირისაკენ (უმცირესი წინააღმდეგობისაკენ).

მცირე აფეთქება ხორციელდება მცირე მოქმედების ელექტროდეტონატორებით ან მადეტონირებელი ზონის საშუალებით.


ასეთი აფეთქებისას ფეთქებადი ნივთიერების ყველა მუხტი ერთნაირ საწყის პირობებში ფეთქდება. ძირითად ნგრევით მოქმედებას ადგილი აქვს უმცირესი წინააღმდეგობის მიმართულებით. აფეთქების მოქმედება მოსაზღვრე მუხტის მიმართულებით განცალკევებული აფეთქების თანაბარძალიანია, რადგან არ ხდება ახალი გაშიშვლებული ზედაპირის შექმნა. მოსაზღვრე მუხტთა შორის მდებარე ქანის ნაწილი მხოლოდ მკუმშვადი დარტყმითი ტალღების მოქმედებას განიცდის, რის გამოც ნგრევას დიდ მანძილზე ვერ ახდენს. ასეთი ხერხით აფეთქებისას მოსაზღვრე მუხტებს შორის მანძილს უმცირესი წინააღმდეგობის მანძილზე რამდენჯერმე ნაკლებს იღებენ. ამ დროს მოსაზღვრე მუხტების აფეთქების დარტყმითი ტალღები მიმართულია ერთმანეთის შემხვედრად და ურთიერთქმედების შედეგად ხდება ქა-

ნის წვილ ნატეხებად მსხვრევა (მასივიდან მონგრევა მიწისძვრისა).

აირის ან მტერის მხრივ სამუშო შახტებში მუხტების დაყოფილ აფეთქებასთან შედარებით უსაფრთხოა მცირე აფეთქება.

ფეთქებადი ნივთიერების მუხტების მცირე აფეთქებისას ეფექტურობის გაზრდის მიზნით წარმოებს მუხტების რამდენიმეჯერადი აფეთქება (ასაფეთქებელი ქანის სიმაგრისა და გამონამუშევრის კვეთის მიხედვით რაოდენობა იცვლება 3-დან 6-მდე). ამ შემთხვევაში დამუხტება მხოლოდ ის შუბრები, რომელთა აფეთქება მოხდება ერთჯერად. სანგრევზე დაბურღული ყველა შუბრის ერთდროულად დამუხტვა და მათი სხვადასხვაჯერად აფეთქება დაუშვებელია, რადგან ეს იწვევს ელექტრომაგნიტური დარღვევას, მგრავინავი ვერცხლისწყლის გამოყრას, სავარგარო ხიდისა და გამტარების გაწყვეტას.

პრაქტიკაში აფეთქებითი სამუშაოების წარმოებისას აღნიშნული მოთხოვნა ხშირად ირღვევა, რაც



ფეთქებადი მასალის მუხტით ქანების დაშლის სქემა: ა—აფეთქების პროდუქტები; ბ—ქანების გაყვლების ზონა; გ—ქანების გარღვევის ზონა; დ—ანარეკლო ტალღებით გამოწვეული დაშლის ზონა; ე—რადიალური ნაპრალები; ვ—რადიალური ნაპრალები



იწვევს მეთანისა და ნახშირის მტერის ააღებას და მასთან დაკავშირებულ უმეტეს შემთხვევებს.

მაკეცკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, აფეთქებითი სამუშაოების წარმოებისას აირისა და მტერის აფეთქების აღრიცხული რაოდენობიდან 75% გამოწვეული იყო მრავალჯერადი აფეთქებით (მე-2 და შემდეგი სერიის აფეთქებით). შემდეგი სერიის დასამუშავებელი მისდარგომის შენარჩუნების მიზნით, რაც ფეთქებადი ენერგიის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას არ იძლევა, მყისური აფეთქებისას გამოიყენება შპურების განლაგების შედარებით რთული სქემა. მიუხედავად იმისა, რომ ძირა შპურებში ქანის ჩაყრის თავიდან ასაცილებლად და მათი მონახვის გასაადვილებლად თავსდება ხის სოლები, შემდეგი სერიის შპურების მოძებნა და ამოწმება დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. პრაქტიკაში ზოგჯერ არ ხდება აფეთქებათა შორის სანგრევის განთავსებისათვის საჭირო დროის დაცვა და აფეთქებით დაზიანებული გამაგრების აღდგენა. გამონამუშევრის ჰერიდან და გვერდებიდან ჩამოცვენილი ქანის ნატეხები ხშირად აზიანებს ასაფეთქებელ ქსელს, ამიტომ ამფეთქებულს დაზიანების მოსაძებნად რამდენჯერმე უნდება დაბრუნება თავშესაფრიდან სანგრევიში.

მყისური აფეთქებისას აირის მაღალი წნევით შემკუმშული ქანის დაჭიმულობის უეცარი მოხსნის შედეგად ხდება მონგრეული ქანის დიდი ძალით შორის გატყორცნა და ხშირად სამაგრი მასალის დაზიანება. ასეთი აფეთქებისას აფეთქებითი სამუშაოების პრაქტიკის გრძელდება 3-4 საათი და ზოგჯერ მეტიც, ამასთან აფეთქების ეფექტი შედარებით დაბალია.

მყისური აფეთქება, რომელიც უკანასკნელ დრომდე აირის ან მტერის მხრივ საშიშ შესტებში აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების ერთადერთ ხერხად ითვლებოდა, ვერ უზრუნველყოფს აფეთქების ენერგიის მაქსიმალურად გამოყენებას, სამთო გამონამუშევრების გაყვანის ტემპის გაზრდასა და უსაფრთხოების სრულად დაცვას.

დაყოვნებული ან თანამდევრობითი აფეთქება წარმოებს ცეცხლგამტარი ზონით მაღლებადი კასულ-დეტონატორებით ან შენელებული მოქმედების ელექტროდეტონატორებით (შენელება 0,5 წამ. ან მეტია). აფეთქებისას ცალკეულ აფეთქებათა შორის შენელების ინტერვალი იმდენად დიდია, რომ ქანის დრეკადი რყევა ასრდება დაწყნარებას; არ წარმოებს დარტყმითი ტალღების ურთიერთქმედება, ამიტომ ყოველი აფეთქება განიხილება დამოუკიდებლად (მუხტების ურთიერთქმედება გამოიხატება მხოლოდ წინა აფეთქების შედეგად დამატებითი გაშიშვლებული სიბრტყის შექმნაში, რაც აფეთქების ენერგიის გამოყენების ხელსაყრელი პირო-

ბაა). ერთსა და იმავე პირობებში მყისურთან შედარებით დაყოვნებული აფეთქებისას გამოიყენება შპურების განლაგების მარტივი სქემა. იგი იძლევა ქანის მეტ მონგრევის უფრო მსხვილ ნატეხებად მსხვრევი; ამასთან სანგრევეზე ყველა შპურის ერთდროულად დამუხტვისა და მათი ერთდროული აფეთქების გამო მნიშვნელოვნად მცირდება აფეთქების საერთო დრო.

დაყოვნებული აფეთქებისას მუხტების აფეთქებათა შორის დიდი ინტერვალის გამო ადვილი აქვს აირის ან მტერის საშიშ კონცენტრაციას, წინა სერიის მუხტების აფეთქების შედეგად ქანში გაჩენილი ნაპრალებით მოსაზღვრე შპურების გადაცვეთას და მათში მთავსებული მუხტების მტყუნებას ან ფუჭ აფეთქებას; აგრეთვე პირველად აფეთქებული მუხტების შედეგად შპურების არასწორად განლაგებისას წარმოებს მოსაზღვრე შპურების გამოქვეშება და გაშიშვლებული მუხტების ლიად აფეთქება. აღნიშნული მიზეზების გამო სხენებული ხერხით აფეთქება აირის ან მტერის მხრივ საშიშ შესტებში აკრძალულია.

მცირედდაყოვნებული აფეთქება დაყოვნებულისაგან განსხვავდება იმით, რომ ამ შემთხვევაში მუხტების სერიათა შორის აფეთქების შენელების ინტერვალი წამის მეასედს და მეათასედს ნაწილთა განისაზღვრება.

იდეა მცირედდაყოვნებული აფეთქების გამოყენების შესახებ პირველი წამოყენებულ იქნა 1920 წ. სსრ კავშირში დიდი რაოდენობის მუხტების ჯგუფის უტყუარი აფეთქების უზრუნველსაყოფად, შემდეგ იგი გამოყენებულ იქნა აფეთქებისას მონგრეული ქანების გარკვეული მიმართულებით გადაყრისა (1930 წ.) და ჭაურის ჩქარული ხერხით გაყვანისათვის (1935 წ.). შემდგომი ცდების წარმოება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945 წ.) განახლდა.

მცირედდაყოვნებული აფეთქების უპირატესობათა გამოვლინების შემდეგ იგი გამოყენებულ იქნა ყველა სახის აფეთქებითი სამუშაოების საწარმოებშიც, მათ შორის აირის ან მტერის მხრივ საშიშ შესტებშიც. ამჟამად აღნიშნული ხერხით აფეთქება ფართოდ გამოიყენება უცხოეთის მრავალ ქვეყნის ნახშირის შესტებში.

მცირედდაყოვნებული აფეთქება წარმოებს 1. მრავალიმუხტისანი ამფეთქი მანქანებით ან გადამრთველი ხელსაწყოებით, აგრეთვე ელექტრული სქემებით; 2. სხვადასხვა ხელსაწყოებით ან პიროტექნიკური დამყოვნებისა და 3. მცირედდაყოვნებული მოქმედების ელექტროდეტონატორებით.

ხელსაწყოებით მცირედდაყოვნებული აფეთქების წარმოებისას აუცილებელია თითოეული შპურის მუხტში მთავსებულ ელექტროდეტონატორების გამტართა ხელსაწყოთან დამოუკიდებელი მიერთება, რაც ართულებს ასაფეთქებელ ქსელის მონტაჟს და ხდის მას არასაიმედოს. აფეთქებისას მუხტთა სერიების საერთო შენელების დრო ან უნდა აღემატებოდეს აფეთქების შე-



დგად მონგრეული ქანის მოძრაობის დაწყების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია უქანასენო სერიის მუხტებში მოთავსებული ელექტროდტრანსტორების გამტარი ადრე გაწყვეტა მაღლებელი დენის იმპულსის გავლამდე.

მავეების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქანის სიმაგრისა და მის გამოშვლებულ ზედაპირთა რაოდენობის მიხედვით დრო აფეთქებიდან მონგრეული ქანის მოძრაობის დაწყებამდე 0,4-დან 87 მილიწამამდე ცვალებადობს. აფეთქებათა შორის დაყოვნების ინტერვალის შემცირებით მცირდება გამტარების მოსალოდნელი გაწყვეტა, მაგრამ ეს საფრთხე მაინც არსებობს თუნდაც 10 მილიწამ. დაყოვნების შემთხვევაშიც, ამიტომ მიწისქვეშა სამუშაოებში ხელსაწყოთა საშუალებით მცირედდაყოვნებული აფეთქების წარმოება დაუშვებელია.

ამჟამად მიწისქვეშა სამუშაოებში მცირედდაყოვნებული აფეთქების საწარმოებლად ყველაზე საიმედოა აფეთქება მცირედდაყოვნებული მოქმედების ელექტროდტრანსტორებით, რაც არ მოითხოვს გამტარების დეტონატორებით ინდივიდუალურ მიერთებას, დეტონაციურ რელსება და ასაფეთქებელი ქსელის სპეციალურ სქემას.

სსრ კავშირში მძ-К3 ტიპის მცირედდაყოვნებული მოქმედების ელექტროდტრანსტორები 25, 50, 75, 100, 150 და 200 მილიწამ. დაყოვნებით პირველად 1956 წელს იქნა დამზადებული. ამავე წელს გამოშვებულ იქნა აგრეთვე მძ-8-56 ტიპის მაღალი გრძნობიერის მყისური მოქმედების ელექტროდტრანსტორები, რომელთა ამოქმედების დროის გაზრდა (ერთი და იმავე შენელების ელექტროდტრანსტორების ამოქმედების დროთა სხვაობა) ± 3 მილიწამს არ აღემატება.

მყისური და დაყოვნებული აფეთქების ზემოაღნიშნულ ურყოფით მხარეებს მცირედდაყოვნებული აფეთქებისადმი არა აქვს, ამასთან იგი ხასიათდება მთელი რიგი უპირატესობით. აირისა და მტერის მხრივ საშიშ მუხტებში მცირედდაყოვნებული აფეთქებით, ისობა აირისა და მტერის აფეთქების საშიშროება, თუ პირველ და უქანასენო მუხტთა აფეთქების შენელების ინტერვალი ნახშირბადი და ფუჭი ქანის საწარგვებზე არ აღემატება შესაბამისად 130 და 195 მილიწამს.

სამთო ქანების აფეთქებით მონგრევაში ტექნიკის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევის — მცირედდაყოვნებული აფეთქების ფართოდ გამოყენების უზრუნველყოფად 1956-1958 წწ. სსრ კავშირის მთელ რიგ საწარმოში მძ-К3 ტიპის მცირედდაყოვნებული მოქმედების ელექტროდტრანსტორების საწარმოო გამოცდისთან ერთად ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტული სამუშაოები მცირედდაყოვნებული აფეთქების ეფექტურობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის დასადგენად.

აღნიშნული სამუშაოები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტმა ჩატარა

1958 წ. „ტექნიკური“ ტრესტის ლენინგრაფიკული ბის შახტის, სადაც გამოირკვა, რომ მყისურთან შედარებით მცირედდაყოვნებული აფეთქებისა მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს აფეთქებითი სამუშაოების ეფექტურობა და მუშაობის უსაფრთხოება. ამის შედეგად მცირდება აფეთქებითი სამუშაოების შრომატევადობა (45%) და გვირგვინის გაყვანის ღირებულება (8,8%).

მუხტების უკეთესი ურთიერთქმედების გამო აფეთქებით მონგრეული ქანი შედარებით თანაბრად და ნორმალური სიხსოსი ნატეხებად იშხვრება, ამასთან გამოწვევად უკეთესად შემოიფარგლება; სანერგვეზ ნაპარაკების რაოდენობა მინიმალურად მცირდება. ეს, ერთი მხრივ, ამცირებს სანერგვის უსაფრთხო მდგომარეობაში მოყვანის დროს (63%), ხოლო, მეორე მხრივ, ადვილად მის გამაგრებასა და დაბურღვის დაწყებას. აგრეთვე მცირედდაყოვნებული აფეთქებისა საგრძნობლად მცირდება აფეთქების სისხური ეფექტი და შესაძლებლად მონგრეული ქანის სასურველი მიმართულებით გადართვის უკეთესი რეგულირება.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტთან არსებულ აფეთქებითი სამუშაოების საუწყებო-საშრობო კომისიის მიერ 1958 წლის ნოემბერში მცირედდაყოვნებული აფეთქების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე მოწვეულ სამეცნიერო-ტექნიკურ თათბირზე დადგენილი იქნა მცირედდაყოვნებული აფეთქების ფართოდ დანერგვა.

მცირედდაყოვნებული აფეთქების ეფექტურობა შემდეგში მდგომარეობს: პირველად აფეთქებული მუხტების სერიის ზეგავლენით ქანი იმყოფება დაქიმულ მდგომარეობაში (იგიველი თავის სტრუქტურას), რაც რამდენიმე მილიწამ. გრძელდება. ამ პერიოდში შემდეგი სერიის მუხტების აფეთქება იწვევს ქანის უკეთეს მსხვრევას. პირველი სერიის მუხტების აფეთქების შედეგად (მუხტების კედლებზე ჩამდენივით ათეული ათასი კგ/კვ. სმ უტყარი წნევის ზეგავლენით) მასივში წარმოიქმნება წვრილ ნაპრალოთა ქსელი, რომელიც აირების ინტენსიური წნევის ზეგავლენით ფართოვდება (იხ. ნახ.). დაყოვნების მეორე ინტერვალში შემდეგი სერიის მუხტების აფეთქების შედეგად ხსენებული ნაპრალები დამატებით მაღალი წნევის ქვეშ ექცევა; ხდება ნაპრალების გაფართოება, ქანის ნერგვა და შემდეგი სერიის მუხტების მოქმედების გაძლიერება გამოშვლებული ზედაპირების წარმოქმნა, ეს ხელს უწყობს ქანის უკეთეს მსხვრევას. ამ შემთხვევაში ქანის მსხვრევის დრო დიდდება და მუხტების მოქმედება მიმართულია არა მარტო სანერგვისაკენ, როგორც ამას ადგილი აქვს მყისური აფეთქების დროს, არამედ ახალი გამოშვლებული ზედაპირისაკენაც. თუ მყისური აფეთქებისა ხდება მუხტების აფეთქების შედეგად წარმოქმნილი აირების მაღალი წნევით შევლული ქანის დაქიმულობის უტყარი მოხსნა, მცირედდაყოვნებული აფეთქებისა მუხტთა სერიების აფეთქებათა

შორის მცირედდაყოვნების ინტერვალის გამო ქანი მაღალი წნევის ზეგავლენის ქვეშ დროის უფრო მოკლე ინტერვალშია, ვიდრე ეს საჭიროა დაბომბულობის მოსახსნელად. ამით უნდა აისნას ქანის უკეთესი მსხვრევა; მისი გატყორცნის მანძილის შემცირება და სანგრევთან ხელსაყრელი ფორმის გროვად დაყრა.

აფეთქების სეისმური ეფექტის შემცირება გამოწვეულია, ერთი მხრივ, აფეთქების ენერგიის მთლიანად გამოყენების, ხოლო, მეორე მხრივ, მუხტების აფეთქებათა შორის შენელების მცირე ინტერვალის შედეგად (ფაზებით დაუმთხვეველი ტალღების ერთგვარი ჩაქრობით). მაგალითად, თუ ორი თანაბარი რაოდენობის მუხტი აფეთქდება ერთსა და იმავე მომენტში, მაშინ რხევათა ამპლიტუდა 2-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე ერთი მუხტის აფეთქებისას. როდესაც ერთი მუხტი აფეთქდება უფრო გვიან, რეზულტატური ამპლიტუდა ჩვეულებრივად ნაკლები იქნება. იგი შეიძლება ჩაქრეს იმ შემთხვევაში, თუ მუხტების აფეთქებათა შორის დროის ინტერვალი რყევის ტალღის ნახევარი პერიოდის ტოლი იქნება.

აღნიშნული მოსაზრებების სისწორე დატყობილად ექსპერიმენტული სამუშაოების შედეგებით. მყისურით შედარებით, მცირედდაყოვნებული აფეთქებისას გარემო ქანების რყევის მნიშვნელოვნად შემცირებით აღილი ჰქონდა შედარებით ყრუ და სუსტ დარტყმას. აფეთქების ეფექტის გაუმჯობესებით გარემო ქანების რყევა მცირდებოდა. ამასთან თანაბარ პირობებში მყისური და მცირედდაყოვნებული აფეთქების ერთნაირი ეფექტისას აფეთქების სეისმური ზეგავლენა უთანასწოლ შემთხვევაში შესამჩნევად ნაკლები იყო.

ამგვარად, მცირედდაყოვნებული აფეთქება მნიშვნელოვნად აღიდებს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ეფექტურობას, გამომანათლებლის გაყვანის ტემპსა და შრომისნაყოფიერებას. მისი ფართოდ დანერგვა მიზანშეწონილია არა მარტო აბრისა და მეტერის მხრივ საშუალო შახტებში, არამედ ყველგან, სადაც სამთო ქანების მონგრევისათვის გამოყენებულია აფეთქებითი სამუშაოები.

ბალალეკონომიური დიზელი

იარსილავლის ძრავების ქარხნის კოლექტივმა შექმნა ახალი ოთხტაქტიანი ექვცილინდრიანი დიზელი ЯМЗ-236. სამამულო და უცხოეთის ძრავათმშენებლობის თა-

ნამედროვე მიღწევების გათვალისწინებით დადგენილი ახალი ძრავა მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისი წინაპრებისაგან. საექსპლუატაციო და ეკონომიური მაჩვე-


ნებლებით ЯМЗ-236 უცხოური ძრავების საუკეთესო ნიმუშების დონეზე დგას და აქვს რესურსები მანევრებლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, მისი საწვავის კუთრი ხარჯი საათში 165-170 გ-ს არ აღემატება ცხენის ძალაზე, 180 ცხ. ძ. სიმძლავრის იგი სულ 750 კვ.ს იწონის. ამავე დროს ЯМЗ-204 ძრავა, რომლის სიმძლავრეა 110-120 ცხ. ძ., იწონის 720-840 კვ.ს.

ახალი დიზელის განსახვავებულ თავიუბურებს წარმოადგენს აგრეთვე კონსტრუქციის სიმარტივე და დიდი სიმძლავრე ექვპოლატიკაში. ორიგინალური სქემითაა შესრულებული ძრავის ფორმა — ცილინდრები განლაგებულია არა ერთრიგად, არამედ ორად, ერთმანეთისადმი 90° კუთხით. სიგანის უმნიშვნელო გადიდებისას რამდენჯერმე მცირდება დიზელის სიგრძე, ხისტი ხდება მისი კონსტრუქცია და ბევრი ძვირადღირებული დეტალის შემცირებით მცირდება თვითღირებულება. ცილინდრების ხაზოვანი განლაგების დროს, მაგალითად, საჭირო იქნებოდა შეიდი ძირითადი საკისარი, მათი რიცხვი აქ მხოლოდ ოთხია. ზედმეტი შეიქნა ზუსალილის გრესივით რხევის ჩაჭრებით.

ახალი დიზელო გამოყენებას პოვნებს დიეტორთობის ავტომატიზმზე, საწვავარება და თვითმცლელზე. მის ბაზაზე უკვე შექმნილია მეტად მძლავრი რავალინდრიანი ძრავა.

გრძელდება სამუშაოები ექვცილინდრიანი ძრავის შესაქმნელად ცილინდრების პოროზონატული განლაგებით.

ს უ რ ა ბ ე რ ე: 180-ძალიანი ექვცილინდრიანი V-მაგვარი ოთხტაქტიანი დიზელი ЯМЗ-236.



შრომის ტექნიკური ნორმირება საქართველოში

დოცენტი გ. ჭაღლიძე

სკკპ XXI რიგგარეშე ყრილობის მიერ უდიდესი ამოცანება დასახული შეიძლება იყოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე. ამ ამოცანების დროულად და ხარისხიანად შესრულება უშუალოდ დამოკიდებულია კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაზე.

1953-1958 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებული დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის შესახებ მწვავედ აყენებს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების საკითხების მოწესრიგების საკითხებს. ტექნიკური (ელემენტების მიხედვით) ნორმირება წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ზრდის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მძლავრ იარაღს; იგი ხელს უწყობს შრომის პროცესების ორგანიზაციასა და დროის ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმების, გამომუშავებისა და მასალების ხარჯის ნორმების მოწინავე ხერხებისა და მეთოდების პრაქტიკაში დანერგვას. განსაკუთრებით დიდი გამომუშავების ნორმების მნიშვნელობა შრომის სწორი ორგანიზაციისა და შვასაკოლმეურნეო დაგეგმვის წარმოებისათვის.

ტექნიკური ნორმირება სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკების შრომის მატერიალური დინტერესების ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ტექნიკური ნორმირება პროგრესული ნორმების დადგენის (ნაცვლად ნორმების გადასინჯვისა) ერთდერთი სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდია.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ტექნიკური ნორმირების პრაქტიკა სათანადო ცვლილებები განიცადა განვლილ წლებში.

კოლმეურნეობებში გამომუშავების ნორმების დადგენის წინათ არსებული ხერხები მოქველდა. ისინი მოითხოვენ არსებითად გადამუშავებასა და გაუმჯობესებას. ამჟამად მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომის ნორმირება მოღუწესიერებელია. ერთმანეთისაგან განსხვავდება კოლმეურნეობებში ნორმირებისა და შრომალეების დარიცხვის პრაქტიკა. ამის გამო არასაკმაოდ ხორციელდება შრომის დანახარჯების შემცირება. ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობებში შემოღებულია

ძველი, ხშირად შემცირებული (დაბალი) ნორმები ან ისეთი ნორმები, რომლებიც შედგენილია თვალდათვალ.

ტექნიკური ნორმირების ამოცანებია: 1. სამუშაო პროცესის შესწავლის საფუძველზე აგრეგატების სწორი დაკომპლექტება, ე. ი. ტრაქტორისა და მისამბელი იარაღის სწორი შერჩევა და მათი მაღალნაყოფიერად გამოყენება; 2. გაანგარიშებული ტექნიკური ნორმების დადგენა მათა წარმომქმნელი ფაქტორების, მოცემული სამუშაო პროცესის პირობებისა და სხვათა გათვალისწინებით.

ელემენტების მიხედვით ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დადგენისათვის საჭიროა წინასწარ სათანადო სამუშაოების თანმიმდევრულად ჩატარება: 1. შრომის პროცესის წინასწარი შესწავლა და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება; 2. შრომის პროცესის დიფერენცირებული გამოკვლევა ქრონოგრაფიის ჩატარებით; 3. ტექნიკური დავირგების მასალების ტაქსირებული დამუშავება და საწარმოო ანალიზი; 4. საწარმოო პროცესის რაციონალური ორგანიზაციის პროექტირება; 5. დროის, გამომუშავებისა და მასალების ხარჯის ნორმების გაანგარიშება; 6. შემსრულებელთა საწარმოო ინსტრუქტაჟი; 7. ნორმებისა და პროექტების დანერგვა, ათვისება და შესრულების კონტროლი.

ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დასადგენად საჭიროა დავირგების მეთოდისა და ტექნიკის, კერძოდ დინამომეტრიკის ჩატარების მეთოდისა და ტექნიკის, დაცვა; ქრონოგრაფიის (ინდივიდუალური, ჯგუფური, მსხვილდელი და აგრეგატული) და ქრონომეტრაჟის ჩატარება; ელემენტების მიხედვით ნორმების გაანგარიშების მეთოდის დაცვა და ბოლოს ელემენტების მიხედვით ნორმირების დანერგვა კოლმეურნეობებში.

ტექნიკური ნორმირების სხვადასხვა მეცნიერული მეთოდების — სამუშაო დღის ქრონოგრაფიისა და ქრონომეტრაჟისაგან განსხვავდება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ტექნიკური ნორმირების მარტივი მეთოდი. ტექნიკური ნორმირების ამ მეთოდის საფუძველია სამუშაო დღის აღწერისა გამსწავლელი მაჩვენებლებით. ამ მეთოდით კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნეებზე საათობრივი გამომუშავების დადგენა ასახავს მიღებული



კორკეტული მებურნეობის პირობებს და წარმოადგენს საფუძველს გამომუშავების ნორმების განსაზღვრისათვის ამ მებურნეობებში. გარდა ამისა, გამსხვილებული მაჩვენებლების მიხედვით დაკვირვების წარმოება ამცირებს ჩანაწერების რაოდენობას.

პროგრესული ნორმების დადგენისათვის შესასწავლი დრო უნდა იყოს დიფერენცირებული იმ დროით, რომელიც იხარჯება უშუალოდ სამუშაოზე, და იმ დროით, რომელიც იხარჯება არა საწარმოო დანახარჯის სახით.

გამსხვილებული მაჩვენებლების მეთოდით დადგენილი ნორმა პროგრესული, რაც კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმებურნეზე დაკვირვების შედეგია, ამასთან ყველა არატიპური მუშაობა მხედველობაში არ მიიღება.

ტექნიკური ნორმირების გამარტივებული მეთოდის ნაცვლად ელემენტების მიხედვით ნორმირების მეთოდების (ქრონოგრაფია და ქრონომეტრაჟი) შემოღების შემსაძლებლობა ჯერ მხოლოდ მოწინავე კოლმებურნეობებს გააჩნია.

მცირე ნორმების გადასინჯვისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შრომადგენების აღრიცხვის უწყისების მონაცემები ან მეზობლად, ერთ პირობებში მყოფი მოწინავე კოლმებურნეობის მონაცემები. მაგრამ ამ ზერხების მიხედვით ნორმების დადგენა იქნება პირობითი.

ტექნიკური ნორმირების გამარტივებული და სხვა მეთოდების დანერგვა კოლმებურნეობებში დიდი ნაბიჯია პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დანახარჯების შემცირებისათვის.

კოლმებურნეობებში სატრაქტორო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გამომუშავებისა და საწვავის ხარჯვის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დასამუშავებლად აუცილებელია, რომ შესწავლილ იქნეს მებურნეობის ბუნებრივი საწარმოო პირობები და განისაზღვროს საწარმოო პირობებში სათანადო სამუშაოებზე მანქანა-იარაღების კუთრი წინააღმდეგობა.

აღნიშნული მასალებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების და ზონალური ნორმირების პუნქტების მიერ შემუშავებული ნორმატიული ცხრილების საფუძველზე წესდება სატრაქტორო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გამომუშავებისა და სათბობის ხარჯვის ნორმები.

გამომუშავებისა და სათბობის ხარჯვის ნორმების განმსაზღვრელი ბუნებრივი ფაქტორებია: ნიადაგის ტიპი და მათი მექანიკური შემადგენლობა, საქცევის სიგრძე, რელიეფი, მინდვრის მდგომარეობა, ქვიანობა, დაქაობა, კუნძებისა და ბუჩქების არსებობა და ა. შ.

აღნიშნული ფაქტორები განისაზღვრება მინდვრების სასპორტიზაციო მონაცემებით, მანქანა-იარაღების

კუთრი წინააღმდეგობა კ — ტიპური მინდვრის (საქცე-ვითებზე) სამუშაოს შრომის გამოყენებით.

მინდვრის პასპორტიზაციის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სოფლის მებურნეობის რაიონსპექტისა და სამუშაო მებურნეობის მთავარ აგრონომს.

გამომუშავების ნორმის გაანგარიშებისათვის წინასწარ ცალკე, სამუშაო პროცესის შემადგენელი ელემენტების მიხედვით ადგენენ დროის ნორმებსა და მანქანა-იარაღების გამოყენების ტექნიკურ ნორმატივებს.

ტექნიკური ნორმირება გულისხმობს გამომუშავების ნორმების შედგენას უშუალოდ კოლმებურნეობებში ნიადაგობრივი პირობების, რელიეფის, ნაკვეთების კონფიგურაციის, სიდიდის, ნიადაგის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მდგომარეობის, დასარეგულირების, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის, ცოცხალი გამწევი ძალის სახისა და მდგომარეობის და სხვათა გათვალისწინებით.

სატრაქტორო და სარემონტო სამუშაოების ნორმირების საქმის გაუმჯობესების მიზნით მოწყობილია ჩვენი ქვეყნის რიგ სტ-თან სატრაქტორო და სარემონტო სამუშაოების ნორმირების ზონალური პუნქტები. სსრ კავშირის სოფლის მებურნეობის სამინისტროს მიერ დამუშავებული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და ექსპლუატაციის სახელმწიფო საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ტექნოლოგიური ინსტიტუტის („გოსინტი“) მიერ დამუშავებული სატრაქტორო და სარემონტო სამუშაოების ნორმირების ზონალური პუნქტების დროებითი დებულება.

ნორმირების ზონალური პუნქტების ამოცანებია სატრაქტორო-სარემონტო სამუშაოებზე მოქმედი გამომუშავების ნორმების შემოწმება და კორექტირება; ნორმატიული მასალების მომზადება სატრაქტორო და სარემონტო სამუშაოებზე გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების შედგენისათვის; სარემონტო სამუშაოებზე გამომუშავების ახალი ნორმების შემუშავება; ნორმირების ზონალური პუნქტის მომსახურების ზონაში მიღებული ახალი მანქანებისა და იარაღებისათვის გამომუშავების დროებითი ნორმების შემუშავება; სატრაქტორო და სარემონტო სამუშაოებზე შრომის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების შესწავლა და განხორციელება; სპეციალური ცდების ჩატარება; ქრონომეტრაჟული დაკვირვების წარმოება რემონტის სამუშაოებზე; ტექნიკური ნორმირების მომუშავეებისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება და ამ დარგში მომუშავეებზე დახმარების გაწევა.

ნორმირების ზონალური პუნქტების საწარმოო საქმიანობაზე ხელმძღვანელობს და მათზე მიცემული გეგმის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სოფლის მებურნეობის სამინისტრო, ხოლო სამეცნიერო მეთოდურ ხელმძღვანელობს — „გოსინტი“.

სატრაქტორო და სარემონტო სამუშაოებზე ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დადგენის და შედგენების ფართოდ გამოყენების საქმეში დიდი გამოცდილება გააჩნია უკრაინის სსრ, სადაც ყველა ოლქში შექმნილია ნორმირების ზონალური პუნქტი, რომელიც გადგის უშუალოდ სტს-ში და საბჭოთა მეურნეობებში. ამ პუნქტების მუშაობა წარმოადგენს ლენინგრადის ავროფიზიკური ინსტიტუტის მიერ შექმნილი გამოთვლელი დინამომეტრის (სამუშაოს ზომის) და „გოსნიტის“ მიერ შედგენილი ნორმირების მეთოდისა და ნორმატული ცხრილების გამოყენებით. ნორმირების ზონალური პუნქტების მეთოდური ხელმძღვანელობისათვის უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან მოწყობილია სატრაქტორო სამუშაოების სპეციალური ლაბორატორია. სტს-ების შტატებით გათვალისწინებულია ტექნიკური ნორმირების დარგში ინჟინრის თანამდებობა.

კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკური ნორმირების პრაქტიკული დახმარების საქმეში ჩაბმულია 70 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური, 15 საცდელი სადგური, რიგი ინსტიტუტი და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწყობილ მეთოდურ სემინარზე ტექნიკური ნორმირება შეიწყალა 200-ზე მეტმა სპეციალისტმა.

1958 წელს უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოებმა შეძლეს რიგ სამუშაოებზე ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვა, რამაც თითქმის ყველგან უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესება, შრომის დანაზრჩების მნიშვნელოვანი შემცირება, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მაღალნაყოფიერად გამოყენება. ამიტომ კოლმეურნეობათა ყველა თავმჯდომარემ გადაწყვიტა, რომ 1959 წლიდან ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო შესრულდეს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების საფუძველზე.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითების შესაბამისად სატრაქტორო-სარემონტო სამუშაოების ნორმირების ზონალური პუნქტი შექმნილია მცხეთის სტს-თან, რომელიც მუშაობს ნორმირების ზონალური პუნქტის დროებითი დებულებისა და „გოსნი-

ტის“ მეთოდური მითითებების მიხედვით. ამ პუნქტის მიერ ჩატარებულია ძირითად სატრაქტორო და სარემონტო სამუშაოებზე ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დასადგენად საინტერესო სამუშაოები.

მცხეთის სტს-თან არსებული ნორმირების ზონალური პუნქტი დაკომპლექტებულია 5 ინჟინერ-სპეციალისტით. ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დასადგენად პუნქტის მიერ რაიონის კოლმეურნეობათა მიწათმარებლობის მასალების საფუძველზე შედგენილია თესბარუნვის სარაიონო რუკა, ჩატარებულია ცალკე კოლმეურნეობების მინდვრების პასპორტიზაცია, რამდენიმე ძირითად სამუშაოთა დინამომეტრირება, ქრონომეტრაჟული დაკვირვებების სამუშაოები. ამ ზონალური პუნქტის მიერ რაიონის კოლმეურნეობებს მიეცემა პრაქტიკული გამოყენებისათვის ძირითადი სახის სამუშაოებზე ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ახალი, პროგრესული ნორმები, რომლებიც განსხვავდება გამომუშავების არსებული ნორმებისაგან და იძლევა სამუშაო დროისა და საწვავ-საცემები მასალების ხარჯვაში დიდ ეკონომიას.

მცხეთის ნორმირების ზონალური პუნქტი მიმდინარე წლიდან აწარმოებს აგრეთვე ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოცდის სამუშაოებს, იგი სათანადო დახმარებას უწევს ნორმირების საქმეში რაიონის საბჭოთა მეურნეობებს. ამ პუნქტის საქმეში რაიონის ნობაზე ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო სამეცნიერო და მეთოდურ ხელმძღვანელობას — „გოსნიტა“.

ძირითად სატრაქტორო და სარემონტო სამუშაოებზე ტექნიკურად დასაბუთებული, ახალი, პროგრესული ნორმების დადგენის საქმეში უკრაინის სსრ და მცხეთის ნორმირების ზონალური პუნქტების მიერ ჩატარებული სამუშაოების გაცნობა და შესწავლა დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობის გამგებებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მეურნეობის წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით პროგრესული ნორმების დადგენაში.

ამ ახალი ღონისძიების განსახორციელებლად კოლმეურნეობებს უნდა ჰყავდეთ ნორმადარები და მუშაობაში საჭირო ენერგიულად ჩაებნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.



საქლანეთათმშობის

მიმოსვლის სპეციალური

საქართველო
საზღვაო ფლოტი



კოსმოსური ხომალდის ძრავები

ადამიანები საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ საპლანეტათმშობის მოგზაურობის, მთვარეზე, მარსზე, ვენერასა და სხვა ახლო და შორეულ ციურ სხეულებზე გაფრენის შესახებ. მაგრამ მხოლოდ ამაჟამად მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევების შედეგად ჩვენ ვდგავართ ამ გაბედული ოცნების განხორციელების მიგნაზე.

უდიდესი მანძილი გავშორებს სამყაროს სხვა ციური სხეულებისაგან. თვით ჩვენი ახლო მეზობლებიც კი — მზის სისტემის პლანეტები — დედამიწიდან რამდენიმე ასეული მილიონი კმ-ის მანძილზეა დაშორებული. კოსმოსური ხომალდების გაფრენა ამ პლანეტებისაკენ აჟამად მიღწეული სიჩქარეებით მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს, რომელსაც წლები და ათეული წლებიც კი სჭირდება.

გაფრენის დროის შესამცირებლად საჭიროა კოსმოსური ხომალდის სიჩქარის გაზრდა. იმ სილღევაბამდე, რომლებიც სინათლის სიჩქარით იზომება. ამისათვის საჭიროა ახალ პრინციპებზე დაფუძნებული ძრავების შექმნა.

ნებისმიერი რეაქტიული ძრავს წვეა მით მეტია, რაც უფრო მეტ საწვავს ხარჯავს იგი ყოველ წამს და რაც მეტია აირების გამოდინების სიჩქარე. თანამედროვე რაკეტული ძრავები, რომლებიც იყენებს თხევად ან მყარ ქიმიურ საწვავს, საშუა-

ალბას იძლევა მიღებულ იქნეს გამოდინების შედარებით დაბალი სიჩქარეები — 3 კმ-მდე წამში — და მოითხოვს საწვავის დიდ ხარჯს, რომელიც ერთ კგ წვეავზე 12 კგ-ს აღწევს საათში. ასეთი ძრავა უფარგისია ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობისათვის. თვით იმ წვევის დროსაც კი, რომელიც სულ 10 კგ-ის ტოლია, საწვავის ხარჯი ერთი წლის მანძილზე შეადგენდა 1000 ტონაზე მეტს.

როგორ შევამციროთ საწვავის ხარჯი რეაქტიული წვევის შესაქმნელად ხანგრძლივი ფრენისას? ამისათვის საჭიროა მნიშვნელოვნად გავზარდოთ აირების გამოდინების სიჩქარე ძრავას საქმენიდან. უდიდესი სიჩქარე, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს თეორიულად, — ესაა სინათლის (ფოტონების) გავრცელების სიჩქარე. იგი წამში 300 000 კმ-ის ტოლია. რაკეტული ძრავას შექმნა ნაწილაკების ნაკადით, რომელსაც გამოდინების ასეთი სიჩქარე ექნება, შესაძლებლობას მოგვცემდა შეგვემცირებია მუშა სხეულის (საწვავის) ხარჯი მოცემული წვევის მისაღებად 100 ათასჯერ!

მაგრამ გამოდინების ასეთი სიჩქარეები ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე მიუღწეველია. ამიტომ ჭრჭერობით არ არსებობს რეალური შესაძლებლობანი ფოტონური ძრავების შესაქმნელად, თუმცა ნაკადების სიჩქარე წამში 200-

300 კმ-ის რიგის შეიძლება მიღწეულ იქნეს იონური ძრავებით.

რაში მდგომარეობს იონური ძრავის მუშაობის პრინციპი?

ნივთიერებათა ატომები ჩვეულებრივ მდგომარეობაში ნეიტრალურია. ენერგიის მიყვანისას ისინი აღიზნებიან, კარგავენ ელექტრონების ნაწილს და გარდაიქმნებიან იონებად. იონების მოძრაობა შეიძლება აჩქარდეს მძლავრ ელექტრულ ველში უდიდეს სიჩქარეებამდე და გაიტყორცნოს საჭირო მიმართულებით. ამ დროს კოსმოსური ხომალდი შეძლებს მივიდეს აჩქარება საპირისპირო მიმართულებით.

არსებობს იონური ძრავების სხვადასხვა სქემები. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სქემა, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალმა „ინტერავია“, მოცემულია აქვე (იხ. ნახ.). იონურ ძრავებში ენერგიის პირველადი წყაროს სახით ბევრი ქვეყნის სწავლულები ვარაუდობენ გამოიყენონ ატომური რეაქტორი, რადგან იგი საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს დიდი თბური სიმძლავრე ატომური საწვავის მცირე ხარჯის დროს. საკმარისია ითქვას, რომ ერთი კილოგრამი ურანი-235 ეკვივალენტურია 1700 ტონა ჩვეულებრივი საწვავისა.

რეაქტორის თბური ენერგია საჭირო იქნება გარდაიქმნას ელექტრულ ენერგიად. ეს შესაძლებელი იქნებოდა გაკეთებულიყო უშუალოდ, თუ მოხერხდებოდა თერმოელექტრული ბატარეების გამოყენება. მაგრამ მათი მარცხ ქმედების კოეფიციენტი ჯერჯერობით მეტად დაბალია. თანამედროვე პირობებში უფრო რეალურად ითვლება გზა თბური ენერგიის მიმდევრობით გარდასაქმნელად მექანიკურად, ხოლო მექანიკურისა — ელემენტურ ენერგიად, როგორც ეს ხდება თბურ ელექტროსადგურებში.

ენერგიის ასეთი გარდაქმნა შეიძლება მიღებულ იქნეს ტურბოგენერატორში, რომლის სქემაც ნახ-ზეა მოცემული. აქ სითბოს შემცველი (აირი ან სითხე), რომელიც ცირკულირებს ჩაქეტილ სისტემაში: კომპრესორი-რეაქტორი — ტურბინა — მაცივარი, სითბოს რეაქტორიდან გადასცემს ტურბინას. ამ სითბოს ნაწილი ტურბინაში გარდაიქმნება მექანიკურ ენერგიად და მიდის ელექტრული გენერატორის ასამოხრავებლად. ტურბინის შემდეგ სითბოს შემცველმა გამოუყენებელი სითბო უნდა გადასცეს მაცივარს. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს თერმოდინამიკის მეორე კანონიდან და აუცილებელია ნებისმიერი თბური მანქანისათვის. აუცილებელია აგრეთვე გენერატორის გაცემა.

ჩვეულებრივ ძალურ დანადგარებში, რომლებიც მუშაობს ზეკრული ციკლით, სითბოს საჭირო არიანება ხორციელდება თბოვადამცემში, რომელიც წყლით გრილდება. თვითმფრინავში მაცივებელი გარემოს სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰაერი. მაგრამ როგორ ავირილოთ სითბო საბლანეტოფორის სივრცეში, რომელსაც არა აქვს მჭიდრო მატერიალური გარემო? ამისათვის შესაძლოა ერთი გზა — სითბოს არინება კოსმოსში გამოსხივების ხარჯზე.

ელექტრულ ენერგიად თბური ენერგიის გარდაქმნის პროცესის მარტივ ქმედების კოეფიციენტი ტურბოგენერატორში შეადგენს დაახლოებით 20%-ს. მაშასადამე, სამყაროში საჭიროა გადიოდეს რეაქტორის მიერ გამოყოფილი მთელი სითბოს დაახლოებით 80%. ეს მოითხოვს მაცივრის შექმნას, რომელსაც მეტად დიდი გამოსახივებელი ზედაპირი ექნება.

სითბოს ასეთი გამომსხივარის შექმნა კოსმოსურ ზომადზე, რომელიც სტარტს ღედაიწიდან იღებს, მისი დიდი წონის გამო უაზროა. მაგრამ კოსმოსური რაკეტა ორბიტას საწყის წერტილში შეიძლება მიიყვანოს ჩვეულებრივი საწვავით მომუშავე ძრავებში შეივნიშნოს მეტანილი მაცივრით და უმუშევარი იონური ძრავებით. კოსმოსურ სივრცეში, სადაც პრაქტიკულად არ არსებობს მიზიდულობის ძალები და გარემოს წინააღობა, შეიძლება გაიშალოს დიდი ზედაპირი სითბოს გამოსახივებლად და შემდეგ ჩაგრთოთ იონური ძრავა. სწორედ ასეა წარმოდგენილი იონური ძრავების გამოყენება მომავალში.


* * *

იონების მისაღებ მუშა სხეულად გამოდგება ისეთი ნივთიერება, რო-

ყოფილებს ტუტე მასალად მასალად ბილდოში და ცეზიუმში. მათი დაინება ადვილია პლატინის ან ვოლფრამის გავარაზებულ ბაღში გავლისას. მაგრამ ამაზე ელექტრული სიმძლავრის შედარებით მცირე ნაწილი იხარჯება. გენერატორის მიერ წარმოქმნილი სიმძლავრის ძირითადი ნაწილი იხარჯება მაღალი ძაბვის ელემენტურ ველში დაღებთად და მუხტული იონების ასაჩქარებლად. შესაბამის მოწყობილობას ამაჩქარებელ კამერას უწოდებენ. ამ კამერიდან იონების გამოტყორცნისას კი წარმოქმნება ძრავის წევა.

ძრავიდან გამოტყორცნილი დაღებითი იონების მიხედვით რაკეტა დაიმუხტება უარყოფითად მასში დარჩენილი ელემენტრების ხარჯზე. უარყოფითი მუხტი, იმოქმედებს რა იონებზე ასაჩქარებელი ველის უკუმიმართულებით, შეანელებს მათ მოძრაობას. ამიტომ საჭიროა ელექტრონების გამოტყორცნაც, თუმცა მათი მასა მცირეა და ამის ხარჯზე წარმოქმნილი წევა უმნიშვნელო.

იონური ძრავას შესაძლო კონსტრუქციები ჯერჯერობით რთულია, ხოლო წონა — დიდი. გაანგარიშებები აჩვენებს, რომ 10 კგ წევის



მლის დაინიშნება ადვილია. ამ მოთხოვნებს, ბევრი სპეციალისტის აზრით, ყველაზე უკეთესად დაკმა-

მქონე ძრავას უნდა ჰქონდეს დაახლოებით 15 ტონა წონა. ამ წონის ორ მესამედზე მეტი მაცივარზე მო-


დის. გენერატორის უხელსაყრელ-სი ძაბვა შეადგენს 20-30 ათას ვოლტს. აღნიშნული წევით ძრავს უწყვეტი მუშაობისათვის ერთი წლის განმავლობაში საჭიროა დაი-ხარჯოს დაახლოებით 20 ტონა მუშა სხეული (ცვრუმი).

როგორც ვხედავთ, დიდი წევის მქონე იონური ძრავას შექმნა დაკე-შირებულია მნიშვნელოვან პრაქტი-კულ სიმწიფეებთან. მაგრამ შედარ-ებებით ნაკლები წევისას, ერთი ან ერთ კგ-ზე ნაკლები რიგით, შეიძ-

ლება მივიღოთ საფრენი აპარატის შესამჩნევ აჩქარება — დაახლოე-ბით 0,001 მ/წმ². ერთი შეხედვით ეს აჩქარება უმნიშვნელოდ მოგვიჩე-ნებათ, მაგრამ უპაერო სივრცეში ძრავას ხანგრძლივი მუშაობისას ასე-თი აჩქარება თანდათანობით შეძ-ლებს საპლანეტოშორისო ხომალდს მიაწივოს უზარმაზარი სიჩქარე, რო-მელიც საჭიროა კოსმოსური სივრ-ცის გადასალახავად შედარებით მოკ-ლე დროში.

(გაზ. „სოვეტსკაია ავიაცია“, 1959 წ.)

ნათურა თავსდება ჩემოდანში, მისი შტატი-ვი მოძრავი სახსრების საშუალებით მიმა-ვი.



პორტატული სოლუქსის ნათურა

სოლუქსის ნათურები

სოლუქსის ნათურები ინფრაწითელი სხი-ვებისა და ნაწილი ხილული სპექტრის სხი-ვების წყაროა. იგი გამოიყენება ავადმყო-ფის სხეულის ნაწილის აღდგომაზე სამ-კურნალო გათხოვისათვის.

ნათურა წარმოადგენს შტატივზე მოძრავად დამაგრებულ რეფლექტორს, რომლის ვა-ნაში ეტარებება საჭირო სიმძლავრის ელექ-ტრონათურა. შემოსხივების ზედაბირის სი-დიდის შემოსაფარგლავად გამოიყენება კო-ნუსური ლოკალიზატორები სიბოგაუმტარ-რი მასალის რგოლებით.

ნათურები, რომლებიც მუშაობს 127-220 ვოლტი ძაბვისა, სამი ტიპისა და ერთმა-ნეთისაგან სიმძლავრითა და ფორმით გან-სხვავდება:

ა) სტაციონარული სოლუქ-სის ნათურა 500 ვატი სიმძლავრისა და გამოიყენება სინათლით სამკურნალო კაბინეტებში; აქვს ვერტიკალური შტატივი გორგოლაქებით (იატაკზე გადასადგილე-ლად). რეფლექტორი საქრით შტატივზე მოძრავი ქუროს საშუალებითაა დამაგრებუ-ლი. ნათურის სიმაღლე 20 სმ, წონა — 28 კგ.

ბ) სოლუქსის ნათურა (მაგი-დი) 200 ვატი სიმძლავრისა და იხმარება სამკურნალო კაბინეტებში და ავადმყოფის საწოლთან. აქვს პატარა შტატივი მასიური დაბოლოებით. პროცედურის ჩატარებისას ნათურისათვის საჭირო მდგომარეობის მა-ცემა სახსრების საშუალებით ხდება. ნათუ-რის სიმაღლე — 43,5 სმ, ფუძის სიგრძე — 28 სმ, წონა — 56 კგ.

გ) პორტატული სოლუქსის ნა-თურა — 200 ვატი სიმძლავრის, გამოიყე-ნება ბინაზე დახმარების აღმოჩენისათვის.

რებულია ჩემოდნის ერთ-ერთ გვერდზე.


მკურნალობისას შემოსხივების ინტენ-სივობის დოზირება წარმოებს გამოსხივების წყაროსა და შემოსხივებულ ზედაბირის შო-რის მანძილის ცვლილებით.

უკველ ნათურას შესაბამისად თან ერთ-ვის 127 ან 220 ვოლტი ძაბვის ელექტრონ-თურა და ლოკალიზატორი.

შახვის სამაგრი მინისკან

